საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 დეკემბერი, 2014 წელი.

№260 (7641)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

წამების შემკვეთი სააკაშვილი იყო, ხოლო ზედამხედველი – გიგა ბოკერია

ჩვენი დროის ჯალათები

2

ინგაიზმი, „ტროიკა“ და გულისამრევი „აღშფოთება“

5

ზურაბ აბაშიძე: ნურავის ექნება მოლოდინი, რომ პუტინთან პირველივე შეხვედრაზე ყველაფერი დალაგდება

3

კახა გოგოლაშვილი:

6

უწინარესად – თავდაცვის-უნარიანობა, დანარჩენი – მერე!

ნატოს შეიარაღების 70% აშშ-ის შეიარაღება და მისი ძალებია, რომლებიც აკავებენ რუსეთსა და მისნაირ აგრესორებს. აშშ ერთადერთი გარანტორია, რომელსაც შეუძლია სამხედრო ძალით დაიცვას – ეს ომში ჩართვას არ ნიშნავს, მაგრამ მისი სამხედრო პოტენციალი იძლევა რუსეთის შეკავების საშუალებას.

ზაზა ფირალიშვილი:

4

არ უნდა მოვიხიბლოთ ბორბოტი ხულიგნის მოწყალე ღიმილით

ამა თუ იმ სფეროს ხელმძღვანელი ადამიანებში იმედს უნდა აჩენდეს. სწორედ ამგვარი კადრების დეფიციტია დღევანდელ ხელისუფლებაში. არადა, რიგითი ადამიანები სწორედ ასეთებს ელიან. მაგალითისათვის ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობმა **დავით სერგეენკომ** უცებ მოიპოვა ნდობა და პატივისცემა. მორჩილი შემსრულებლები კი იოლად მიეცნენ გასტრონომიულ ჰედონიზმს და პრემიები თუ სახელფასო დანამატები აქციეს თავის მთავარ საზრუნავად.

◎ დღის ამოჭრაზურიდან

უკრაინის ომში წასულ ქართველ მოხალისეებს თურმე თავიანთი ოჯახები აფინანსებენ...

— სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი რამ დედამიწის ზურგზე არცრაა. ამიტომ დიდად დასანანია ამ დღეებში უკრაინიდან დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ჩამოსვენება.

— პატივი ნამდვილად მიეგო როგორც ხალხის, ისე ხელისუფლების მხრიდან... მაგრამ ერთგვარი პანიკური აჟიოტაჟი მოჰყვა ჩვენი თავდაცვის სამინისტროს განცხადებას, ქართველი მოხალისეები ნაციონალების კარნახით მიდიან მოძმე უკრაინელთა დასახმარებლად სეპარატისტების წინააღმდეგო.

— ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო. სწორედ ეს უნდოდათ ნაციონალებსაც, რომელთაც ეს განცხადება თავიანთი ბნელი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს და ერთი ვაიუშველებელი ატეხეს. ეს განცხადება როგორც მთელი საქართველოს, ისე ქართველი მეომრების შეურაცხყოფა�აა; აშკარად ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაა: თავდაცვის მინისტრი უნდა გადადგესო; ამ საქმეს მარტო ცარიელი ბოდიში არ უშველისო.

— არადა, რისიმე თუ ვისიმე შეურაცხმყოფელი რამ ამ განცხადებაში რა იყო, მაინც არ მესმის... რაც შეეხება მოხალისეთა თვითნებურად თოფის აღებას და უკრაინაში წასვლას, ასეთი შემთხვევისთვის თურმე გარკვეული კანონი არსებულა, რომლის მიხედვითაც ყველა მოხალისე ვალდებულია საქართველოს გარეთ სადმე ომში ჩასაბმელად ჯერ თავდაცვის სამინისტრო ჩააყენოს საქმის კურსში, რაც უკრაინაში მებრძოლ ლეგიონერთა მხრიდან არ მომხდარა.

— როცა ნაციონალთათვის და, კერძოდ, ბრალდებული სააკაშვილისთვის თავგადაკლული რუსთავორელი გიორგი გაბუნია თავის აშკარად ანტისაზოგადოებრივ და ანტისახელისუფლებო სამშაბათის „არჩევანში“ სტუმრად მოწვეულ ერთ-ერთ ლეგიონერს, კერძოდ, მამუკა მამულაშვილს შეეკითხა, თქვენ თავისუფალი მოხალისენი ხართ, არა უკრაინელი მოქალაქენი და ვინ გაფინანსებთო, ქართველმა მებრძოლმა ეგრევე დაზეპირებულივით მიუგო, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი რამ: **ყველას ჩვენ-ჩვენი ოჯახები გვაფინანსებენო, ყველაფრით ისინი გვამარაგებენო** (SIC)

— ამასვე „ადასტურებენ“ ნაციონალები, ამასვე იმეორებს ამ ბოლო დროს „რუსთავი 2“-ის ეკრანის გამუდმებული ტელევარსკვლავი, 2008 წლის აგვისტოს ომის თავლაფდასხმული მხედართმთავარი, აგრეთვე სამხედროფორმაგადაცმული, უკრაინელთა კეთილ სამხედრო მრჩევლად მოვლენილი, ათას უბედურებაში გახვეული გია ბარამიძე, ნაციონალთა ყოფილი უშიშროების საბჭოს საბიუჯეტო მილიონების გამფლანგველი გიგა ბოკერია და ნაციონალების პირბოროტი იდეოლოგი გოკა გაბაშვილი.

— არა, ძმაო, ამ „მეოცნებეებმა“ თუ ასე ყოველდღიურად ზედ შეიყენეს ეს ეგრეთ წოდებული უმძიმესი ცოდვებით დატვირთული უმცირესობა და ერთხელ და სამუდამოდ რამე არ მოუხერხეს საბედისწეროდ ძვალივით ყელზე დამდგარს, მარტო ლიბერალიზმითა და დემოკრატიულობით ფონს ვერ გავლენ.

— ხალხს სულ ფეხებზე ჰკიდია ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის გაუთავებელი დავა-კამათი, რაც ნაციონალების შორისგამიზნული ტაქტიკაა, რათა თავგზა აუბნიონ რატომღაც დემოკრატიულად მთვლემარე „მეოცნებეებს“, ხოლო ადუღებულ რძესავით გადმოსვლის პირას მისულ საზოგადოებას ორიენტაციის უნარი დაკარგვინონ.

— ამ თვალსაზრისით 2015 წელი ნამდვილად გადამწყვეტი იქნება... როგორც იტყვიან, ჟურნალი დამთავრდება და კინო დაიწყება...



— ყველაზე საშიში მაინც ის არის, რომ ნაციონალები თავიანთი აშკარა თუ შენიღბული ტაქტიკითა და სტრატეგიით თანდათან გულმხურვალე მომხრეთა რაოდენობას უმცირებენ და ხშირ შემთხვევაში აკარგვინებენ კიდეც უკვე გულგატეხილ მომხრეებს.

— და, რაც მთავარია, ეს ვაინაციონალების ნარჩენები არც მალავენ, რომ ამ „უნიათო“, „უტვინო“, „უდღეურ“ ხელისუფლებას 2016 წლის არჩევნებამდე წირვას გამოუყვანენ, ოღონდ გადატრიალების მცდელობა რომ არ დაბრალდეთ, დემოკრატიული გზითო, ურცხვად აყოლებენ.

— ასე რომ, ოცნებას დიდი სიყოჩაღე და შემართება მართებს, რაც წინასაარჩევნო დაპირებების სრულ განხორციელებაში მდგომარეობს. სიყოჩაღესთან და შემართებასთან ერთად „ოცნებამ“ დროა, ბრჭყალებიც გამოაჩინოს, ვიღაც-ვიღაცების შიშით ნუ ელოლიავება სინდის-ნამუსზე ხელაღებულ ნაციონალებს. მით უმეტეს, რომ თავისუფალი დემოკრატების შემდეგ კოალიციის წევრი რესპუბლიკელებიც რაღაც სხვა ჰანგზე აჭიკჭიკდნენ...

— თუ ჩვენ, ხალხს, გვესმის ეს ყველაფერი, ნუთუ „ოცნება“ დაყრუვდა და დაბრმავდა... ნუთუ ვერ ხვდება, რა დონეზე „პწკენენ“ ხელისუფლებაში მობრუნების გიჟური ჟინით შეპყრობილი საცინე ნაციონალები?!.

— პწკენა პწკენაში კი, მოგეხსენებათ, დედოფალი დაორსულდა, ხოლო ნაციონალები, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავიანთ სარგებელს უმიზნებენ „ოცნების“ ამ ნაადრევ დაორსულებაში...

მოისმინა

გურამ წიკლაურმა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი:

სამი ათასი ოჯახის უსამსახუროდ დატოვება ასეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს ვართ, ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა

განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე. მისივე განმარტებით, საზოგადოებამ სასწორზე უნდა დადოს ორი სიკეთე და არჩევანი მათ შორის გააკეთოს.

„მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ყველას – საზოგადოებას და პოლიტიკოსებს, რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა გაქვს ამომრჩევლების, ჩვენი ხალხის და ქვეყნის წინაშე. ვიდრე დასკვნებს, განცხადებებს გავაკეთებთ, საჭიროა, გავითვალისწინოთ იმ ადამიანების ბედი, რომლებიც იქ არიან დასაქმებულები. 3 ათასი ოჯახის უსამსახუროდ დატოვება ასეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს ვიმყოფებით, არის ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა. მე ნამდვილად ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას ამ 3 ათასი ოჯახის წინაშე, რომ ვუთხრა, კომპანია უნდა გაჩერდეს, დაიხუროს და 3 ათასი ოჯახი წინასაახალწლოდ დარჩეს უმუშევარი. ეს იქნება ღალატი ამ 3 ათასი ოჯახის და ამას არ და ვერ გავაკეთებ. ასე რომ, მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველას სიმშვიდისკენ. მესმის, რომ საკითხი ემოციურია, ყველა ძეგლი და ყველა არქეოლოგიური აღმოჩენა ჩვენთვის ძვირფასია, მაგრამ ჩვენ სასწორზე უნდა დავაყენოთ ორი სიკეთე და იქიდან ავირჩიოთ რომელი უფრო დიდი სიკეთეა, მით უმეტეს, ჩვენ არ ვაპირებთ, ეს არტეფაქტები განადგურდესო“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მას სწორედ აღნიშნული 3 ათასი ოჯახის ბედი აღელვებს და არა კონკრეტული კომპანიის.

„ბორცვი, რომელიც იყო იქ, თავად სპეციალისტების შეფასებით, არის სრულიად სტერილური. მისი არსებობა წლების განმავლობაში არავის ახსოვდა. ინვესტორებიც შემოვიდნენ ჩვენამდე, ჩვენ მათთან არავითარი შეხება არც გვქონია და არც გვაქვს, ჩვენ უბრალოდ საკითხს ვუდგებით სახელმწიფოებრივად და ის ისე უნდა გადავწყვიტოთ, როგორც არის სწორი. თუ იურიდიული გადაცდომა იყო, რა თქმა უნდა, ამას შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან და გამოასწორებენ, დანარჩენი, ვფიქრობ, უნდა მივცეთ კომპანიას საშუალება, გააგრძელოს იქ მუშაობა.

საყდრისის საბადოს ტერიტორიიდან ამოღებულ არტეფაქტებს დაცულ სივრცეში გადაიტანენ

– ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, დაცულ სივრცეში არქტეფაქტების დახარისხება-გაწმენდა მოხდება, რაშიც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ჩაერთვებიან.

„ამის შემდგომ მათ სამუზეუმო ექსპოზიციაში გამოვიყენებთ. ცხადია, რომ მუზეუმის კონცეფციის, მისი ფორმატის შემუშავებაში ძალიან ფართოდ და აქტიურად იქნება ჩართული, პირველ რიგში ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო პოტენციალი, ჩვენ ასევე მოვიწვევთ იმ საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფის წევრებს, ვინც ამ ობიექტზე წლების განმავლობაში მუშაობდა და, პრაქტიკულად, ყველა დაინტერესებულ პირს დავპატიჟებთ, რომ ამ კონცეფციის შემუშავებაში მიიღოს მონაწილეობა“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

წამების შემკვეთი სააკაშვილი იყო, ხოლო ზედამხედველი - გიგა ბოკერია

ჩვენი დროის ჯალათები

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე აცხადებს, რომ მისი დაკავების შემდეგ, დროებითი მოთავსების იზოლატორში გიგა ბოკერია ადეიშვილთან და გრიგალაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

„დაკავებიდან პირველივე ღამეს ელექტროშოკით და სიგარეტით მაწამეს, შემდეგ გადამიყვანეს №7 საპყრობილეში, რომელიც ერთხელ ნახეს ჟურნალისტებმა და არასამთავრობოებმა 10 წუთის მანძილზე. ვიდრე ისინი შემოვიდნენ, იქ 1 თვე ვიყავი, არსებობს სურათებიც. 28 დღის განმავლობაში 32 კილო დავიკელი, რაც ცხადყოფს ჩემი იქ ყოფნის პირობებს. მეუხერხულება საუბარი, თუმცა, არ არსებობდა ნივთი, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაც კი, დაწყებული ხელის საპნიდან, დამთავრებული გაზეთის ნაგლეჯით, აღარაფერს ვამბობ კბილის ჯაგრისზე და შუქზე, სანთელზე, რომ რაღაც დამენახა. შუა საუკუნეების შემდეგ, ასეთი წყვდიადი, ალბათ, მხოლოდ კინოებშია. ვიკვებებოდი მეზობელი საკნიდან მოწოდებული საკვებით. „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელი, ცხონებული ზურაბ ჭანკოტაძე მაწვდიდა საკვებს“, – განაცხადა მოლაშვილმა.

მისი თქმით, ფილიპ დიმიტროვს ამ პირობების ნახვის შემდეგ გული წაუვიდა, მათიას იორშმა კი 10 წუთი გაუძლო.

2014 წლის 23 ოქტომბერს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოთხი მუხლით გაამართლა. სასამართლოს განჩინებით, საქართველოს მთავრობას სულხან მოლაშვილისთვის 20 000 ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა და ერთი წლის ვადაში საქმის ხელახალი გამოძიება დაეკისრა.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განჩინების მიხედვით, სულხან მოლაშვილის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეთოთხმეტე მუხლები. ეს მუხლები, შესაბამისად, შეეხება ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციისა და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი 2004 წლის აპრილში დააკავეს. მას ბრალად ედებოდა სახელმწიფოსათვის 3 მილიონი ლარის ოდენობის მატერიალური ზარალის მიყენება, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და უფლებამოსილების გადამეტება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რამდენიმე ეპიზოდში ბრალდების მოხსნის შემდეგ კი სასჯელის ზომა 1 წლით შეუმსუბუქა.

სულხან მოლაშვილმა საპატიმროში 4 წელი დაჰყო. 2008 წელს იგი პატრიარქის შუამდგომლობის საფუძველზე გათავისუფლდა.

მართლმადიდებელთა კრებული რეფერენდუმის ჩაჭარებას ითხოვს

„ᲫᲝᲠᲗᲘᲐᲠᲓ ᲛᲐᲠᲘᲝᲢᲨᲘ“ მართლმადიდებელთა კრებულის შეკრების მონაწილეები ითხოვენ, რომ შეწყდეს ID ბარათების იძულებით აღების მოთხოვნა და დაშვებული იქნას ალტერნატიული საბუთები. შეხვედრაზე უჩვენეს ვიდეომასალა, თუ რა ხდება ამ კუთხით ევროპულ ქვეყნებში. როგორც მართლმადიდებელთა კრებულის ხელმძღვანელმა ზაზა ნანობაშვილმა განაცხადა, საქართველოში ყველა პირობას ქმნიან, რომ მოქალაქე მოქალაქეობის გარეშე დარჩეს.

„შევიკრიბეთ ადამიანის მოქალაქეობის შენარჩუნების თემაზე. როგორც რეჟისორი, ექვს ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ჩემი თვალით ვნახე ევროპელთა მაგალითები. ყველა სახის ალტერნატიული საბუთი არსებობს, რომ მოქალაქე საკუთარ ქვეყანაში მოქალაქეობის გარეშე არ დარჩეს. მხოლოდ საქართველოა, სადაც ერთადერთი მხოლოდ ჩიპიანი საბუთები არსებობს და აიძულებენ ადამიანებს, რომ აიღონ ჩიპიანი საბუთები“, – განაცხადა ზაზა ნანობაშვილმა.

მართლმადიდებელთა კრებულის წარმომადგენლების თქმით, პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის და იუსტიციის მინისტრის სახელზე უამრავი წერილი არის შესული, რათა მოხდეს ევროპული მაგალითების გათვალისწინება, თუმცა, მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნა, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გათვალისწინებული.

◎ ᲕᲘᲜ ᲩᲐᲐᲥᲠᲝᲑᲡ?

როდემდე უნდა ეკიდოს საწვავს ცეცხლი?

გუშინ მძღოლებმა ბენზინის მაღალი ფასების გამო საპროტესტო აქცია გამართეს. მძღოლებმა ავტომობილებით სიგნალების თანხლებით ვარდების მოედნიდან მთავრობის ადმინისტრაციამდე მსვლელობა მოაწყეს. აქციის მონაწილეებმა მთავრობის ადმინისტრაციასთან ბენზინზე მაღალი ფასი ერთწუთიანი გაბმული სიგნალით გააპროტესტეს.

აქციის ორგანიზატორის, „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, მთავრობას ერთკვირიანი ვადა ეძლევა, რომ ბენზინის ფასი რეალურ ლარნახევრამდე დავიდეს.

„ერთ ლიტრ ბენზინზე უკანონო მონოპოლისტური ფასნამატი 67 თეთრს შეადგენს. ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ დაწესებული კორუფციული წილი. ყველა კომპანია, რომელიც ამ კარტერულ კორუფციულ შეთანხმებაში მონაწილეობს, არის „ქართული ოცნების“. მთავრობას ვაძლევთ ერთ კვირას, რომ ბენზინის ფასი გახდეს ლარნახევარი“, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე თქმით, ეს 67 თეთრი მიდის კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეში, რომლებიც ფლობენ ბენზინის იმპორტიორ და სადისტრიბუციო კომპანიებს.

◎ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ცემა-ტყეპა პარლამენტში

პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მიმდინარეობისას ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ უმცირესობის დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი და უმრავლესობის წევრი დავით ლორთქიფანიძე.

დაპირისპირება სხდომათა დარბაზში მოხდა. მანდატურებმა დეპუტატების გაყვანა სხდომათა დარბაზიდან შეძლეს.

როგორც ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ ტყუილის თქმას ისევ აგრძელებს და ამის პატიება არ შეიძლება.

◎ ᲔᲠᲘᲰᲐ!

სად „მაკდონალდსი“ და სად გუბერნია

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში რწმუნებულ-გუბერნატორმა ლევან შონიამ სამეგრელოს საზოგადოებას საქართველოს მთავრობის ორი წლისა და რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორის ერთი წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. მისი განცხადებით, ორ წელიწადში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 397 მილიონი ლარი შეადგინა, განხორციელდა 956 ინფრასტრუქტურული პროექტი, სადაც დასაქმდა 5000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები.

გუბერნატორის ამ განცხადებაში, ალბათ, მშენებარე ამერიკული კვების ობიექტი „მაკდონალდსიც“ იგულისხმებოდა, რომელიც ზუგდიდში გუბერნიის შენობის გვერდით შენდება. სწორედ ამ არასწორად შერჩეულმა ადგილმა გაუნელა ზუგდიდელებს ის სიხარული, რაც „მაკდონალდსის“ დამკვიდრებას უნდა მოჰყოლოდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის გუბერნიის შენობაში ამ სამსახურის გარდა, განთავსებულია ახლად შექმნილი ქალაქ ზუგდიდის მერია და საკრებულო. გავრცელებული ვერსიით, გუბერნიის გვერდით არსებულ მოედანს, სადაც მანქანების სადგომი იყო, თვალი დაადგა ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ და ამერიკის გარკვეული წრეების და გუბერნატორის თანადგომით გადაწყვიტა მაინცდამაინც აქ – გუბერნიის გვერდით განეთავსებინა „მაკდონალდსი“. მან დილემის წინაშე დააყენა ზუგდიდის მერია და საკრებულო: „მაკდონალდსი“ აშენდებოდა მხოლოდ მის მიერ შერჩეულ ადგილას ან არსად. საკრებულომ არჩია „მაკდონალდსის“ აშენება თუნდაც შეუფერებელ ადგილას, ვიდრე არაშენება, ამიტომაც 15 დეპუტატიდან 11-მა (ხმა არ მიუციათ ნაციონალებსა და ბურჯანაძე-დემოკრატებს) ხმა მისცა

ჭყონიას მიერ შერჩეულ ადგილას ამერიკული კვების ობიექტის განთავსებას.

მიუხედავად ზუგდიდელების გულისწყრომისა, უკვე თვეზე მეტია, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. „მაკდონალდსი“ იმდენად ახლოს არის გუბერნიის შენობასთან, რომ გუბერნატორს მისი კაბინეტის ფანჯრიდან შეუძლია მიიღოს ცნობილი ჰამბურგერი, ჩისბურგერი და სხვა ბრენდები.

ძალიან კარგია, როცა რაღაცები შენდება, მათ შორის „მაკდონალდსიც“, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ის მისთვის შესაფერის ადგილას განეთავსებინათ. ადგილების მეტი რა იყო, მაგრამ ეს ადგილები არავის მოუძიებია. იმასაც ამბობენ, „მაკდონალდსის“ აშენება გუბერნიის გვერდით ამერიკაში გადაწყდაო. და ამერიკის წინააღმდეგ ხმის ამოღებას კი ვინ გაბედავდა.

გუბერნიის შენობა მომავალი წლიდან სარემონტო სამუშაოების გამო რამდენიმე თვით ფუნქციონირებას წყვეტს და იქ არსებული სამსახურები ყოფილი იუსტიციის სახლში განთავსდება. ზუგდიდელები ხუმრობით იმასაც ამბობენ, რა საჭირო იყო „მაკდონალდსისათვის“ ახალი შენობის აშენება – მისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ გუბერნიის შენობა გადაეცათო.

ლადო ქირია
ზუგდიდი.

ნურავის ექნება მოლოდინი, რომ პუტინთან პირველივე შეხვედრაზე ყველაფერი დალაგდება

ნომრის სტუმარია პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე.

— ბატონო ზურაბ, საინტერესო წინადადება გაახმიანა ვლადიმერ პუტინმა, როცა მან საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის, შეხვდეს საქართველოს პირველ პირებს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

— პრინციპში, ასეთი შეხვედრა შესაძლებელია და ის, ადრე თუ გვიან, უნდა შედგეს კიდეც, მაგრამ ასეთი დონის შეხვედრისთვის აუცილებელია სოლიდური მომზადება, რათა კონკრეტული შედეგი მივიღოთ. უპირველეს ყოვლისა, ამის შემდეგ რაღაც შედეგი უნდა დადგეს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში.

ასე ვთქვათ, ასეთი მზაობა ადრეც არაერთხელ გამოუთქვამთ როგორც რუსეთის, ასევე ჩვენი ხელისუფლების პირველ პირებს, მაგრამ კონკრეტული, პრაქტიკული სამუშაოები შეხვედრის მოსამზადებლად არ დაწყებულა. ასე რომ, ვნახოთ, რა მოხდება.

— რა დრო შეიძლება დასჭირდეს მზადების პროცესს?

— ვერ გეტყვით, ნამდვილად, რა დროს მოითხოვს პროცესი. ერთია, ზოგადი განცხადებები მზაობის შესახებ და მეორეა — უკვე შეხვედრისთვის მზადება. ჩვენმა რუსმა კოლეგებმა კარგად იციან, როგორ შეიძლება პირველი ნაბიჯი გადაიდგას. თუკი ექნებათ სურვილი, ამის მოხერხება ადვილია...

— რადგან ინიციატივა რუსული მხრიდან წამოვიდა, ამიტომ მზადებაც მათი პრეროგატივაა?

— ინიციატივა ზოგადი ნათქვამია. ასეთი დონის შეხვედრებს, როგორც წესი, საგარეო უწყებები ამზადებენ ხოლმე...

— ბატონო ზურაბ, სკეპტიკოსები ვარაუდობენ, რომ ყველა შემთხვევაში ეს იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის, კონკრეტული შედეგის გარეშე.

— სწორედ ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ არ გვინდა შეხვედრა შეხვედრისთვის, ჩვენ გვინდა შეხვედრა იმისთვის, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას, რათა დაიწყოს ამ მწვავე პრობლემის ეტაპობრივი მოგვარება. ნურავის ექნება იმის მოლოდინი, რომ პირველივე შეხვედრაზე ყველაფერი დალაგდება.

— თქვენი წარმოდგენით, როგორი იქნება შეხვედრა: ორი სახელმწიფოს მეთაურებს შორის თუ შეხვედრა ოკუპანტთან?

— ჯერ ზოგადად, პრინციპის დონეზე დადასტურდა მზაობა, მაგრამ მეტი დეტალიზება გამიჭირდება. რეალობა რაც გვაქვს, კი ხედავთ.

— რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ყველა ფორმატში საქართველო თავდაცვით პოზიციაშია, ხოლო რუსეთი — შემტევ პოზიციაში, აღნიშნავენ ექსპერტები. თქვენი აზრიც ასეთია?

— რუსეთის შემტევი პოზიცია არც უნდა გაგვიკვირდეს. მას ასეთი მიდგომა მხოლოდ საქართველოსთან არა აქვს. დაუკვირდით, რა ხდება მსოფლიოში, რა ხდება ჩვენ ირგვლივ, უკრაინაში თუ იმ ქვეყნებში, რომლებიც რუსეთის სამეზობლოში არიან. ისინი მუდამ განიცდიან რუსეთის ზემოქმედებას, სირთულეებს. გამონაკლისი არც ჩვენა ვართ. ბოლოს და ბოლოს, თვით ვაშინგტონმაც კი ვერ გამონახა მოსკოვთან საერთო ენა.

— თქვენი და გრიგოლ კარასინის შეხვედრაზეც ეს პათოსი იგრძნობა, თუნდაც ადამიანურ ურთიერთობებში?

— ადამიანურ ურთიერთობებს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მეორეხარისხოვანია. ჩვენს დიალოგს თავიდანვე ჰქონდა განსაზღვრული ფორმატი: სავაჭრო ურთიერთობები, სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნუ გვექნება გაზვიადებული მოლოდინები, როგორც ქართველებს გვჩვევია ხოლმე. ეს არის ძალიან გრძელი, რთული პროცესი, თუმცა, ეს ფორმატი მეტ-ნაკლებად ასრულებს თავის ამოცანას.

— ორი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— მოდით, გავიხსენოთ რა მდგომარეობა იყო მანამდე. სავაჭრო ურთიერთობა 2006 წლის შემდეგ გაწყვეტილი გვქონდა რუსეთთან ცალმხრივად. რუსეთმა ემბარგო დაგვიწესა, მაგრამ რუსული პროდუქცია უპრობლემოდ შემოდიოდა საქართველოში, რუსი ბიზნესმენები თავს მშვენივრად გრძნობდნენ ჩვენთან. ვიზებზე აღარაფერს ვამბობ, რადგან რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსასვლელად ვიზა აღარ სჭირდებათ. ეს წინა ხელისუფლებამ გააკეთა და პრინციპში ამის წინააღმდეგი არა ვარ.

ჩვენ — ახალი ხელისუფლების პირობებში იმდენი მოვახერხეთ, რომ ეს უსამართლობა მოვაწესრიგეთ. გავხსენით რუსეთის ბაზრის კარი ჩვენი პროდუქციისთვის. წელს უკვე 200 მილიონზე მეტი ქართული პროდუქცია შევიდა რუსეთში. ექსპორტის დიდი წილი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებზე. თუ შემოდის რუსეთიდან 300 მილიონი რუსული პროდუქცია, გადის 200 მილიონი, ანუ ბალანსი მეტ-ნაკლებად აღდგა.

ბოლო ხანს პრობლემები გაჩნდა რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო. შემცირდა რუსეთიდან იმპორტი, დაახლოებით 10-15 პროცენტით. სამწუხაროდ, ასევე იკლო რუსეთიდან გზავნილებმა, რაც აისახა კიდეც ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე.

რაც შეეხება სატრანსპორტო მიმოსვლას, ესეც აღდგა, გაიხსნა გზა, იმატა სატრანსპორტო გადაზიდვებმა, გაიზარდა ტურისტების რაოდენობა.

— ჰუმანიტარულ პრობლემებში რა იგულისხმება?

— რუსეთში რამდენიმე საქართველოს მოქალაქე დაკავებული იყო და ჯერ კიდევ არის ჯაშუშობის ბრალდებით, რომელთაც 11-12 წლიანი სასჯელები ჰქონდათ. რამდენიმე ადამიანი უკვე ჩამოვიყვანეთ და ეს დიალოგი კიდევ გაგრძელდება.

ასევე ამ ჩამონათვალის შემადგენელი ნაწილია რუსეთთან კონფრონტაციის შემცირება. ყველა გრძნობს, რომ მწვავე დაძაბულობის გრადუსმა დაიწია. ეს აუცილებელია ქვეყნის შიდა სტაბილურობისთვის, ვინაიდან მოქმედებს მცირე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, უცხოურ ინვესტიციებზე. ინვესტორები არ აბანდებენ ფულს იმ ქვეყნებში, რომელიც რუსეთთან დიდი ძალადობის ზღვარზეა. ამჟამად ასეთი რისკი შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ისე მოვახერხეთ ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმება, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებ პრობლემებს შევხვდით.

— ამაზე რა რეაქცია ჰქონდა იგორ კარასინს თქვენთან პრივატულ საუბრებში?

— მან თქვა, რომ რუსეთი არ შეეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებას და ეს არც დაგვიმალავს... პრინციპში, ხელმოწერის პერიოდში განსაკუთრებულ სირთულეს არ წავაწყდით, არა?

— ე.წ. ხელშეკრულების გაფორმება აფხაზეთთან და, სავარაუდოდ, ცხინვალის რეგიონთან, რისი ნიშანია?

— რა თქმა უნდა, ეს გარკვეულწილად პასუხია საქართველოს ევროპულ არჩევანზე, მაგრამ არა მხოლოდ საქართველოს მისამართით. იგი გზავნილია ასევე ევროკავშირისა და ნატოსთვის, ანუ უფრო დასავლეთის რეაქციაზეა გათვლილი.

— საქართველო გაცილებით მწვავე და რადიკალური არ უნდა იყოს, როცა ასეთი მანევრი ხდება რუსეთის მხრიდან?

— რადიკალური როგორ არ არის?! ვნახეთ პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის მიერ გაკეთებული რეზოლუციები, ყველა საერთაშორისო ფორუმზე მკვეთრია ჩვენი პოზიცია, მაქსიმალურად გავაქტიურდით და ყოველდღე რაღაც რეზოლუციები კეთდება დასავლელი პარტნიორების მხრიდან. ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა ამერიკის კონგრესმა. ის, რომ დასავლეთმა სერიოზული სანქციები დაუწესა რუსეთს და რომლის მძიმე შედეგსაც უკვე ვხედავთ კიდეც, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიდგომის ნაწილი საქართველოც არის.

წინა ხელისუფლებამ შეგვაჩვია ისტერიულ სტილს, მაგრამ იმას კი ნუ დავაკვირდებით, თუ რა ტონზე ვსაუბრობთ და რამხელაზე ვყვირივართ, არამედ ვნახოთ, ჩვენი მოქმედების შედეგი რა არის.

— და მაინც, აპირებთ დიალოგის გაგრძელებას რუსეთთან?

— აუცილებლად. ურთულესი ვითარების მიუხედავად, უკრაინა ინარჩუნებს დიალოგის ფორმატს რუსეთთან, დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია. არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, რომელსაც რაღაც ფორმით მაინც ურთიერთობა არა აქვს რუსეთთან. ჩვენ ყველაზე მარტივი, ვიწრო შეხება გვაქვს ამ ქვეყანასთან. არა გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, გაუქმებულია საელჩოები, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობა გაწყვეტილია. სულ ორი ადგილია — ჟენევა და პრაღა, სადაც ჩვენს პრობლემებს განვიხილავთ რუსეთთან ერთად. ოპონენტების ნაწილის ახირება — საერთოდ ნუ დაველაპარაკებით რუსეთს — ეს არის ინფანტილური, ბავშვური მიდგომა. ყველა ჩვენი დასავლელი პარტნიორი გვთხოვს, არ შეწყვიტოთ დიალოგი რუსეთთან. დაველაპარაკოთ და შევეცადოთ, ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ.

დიალოგი თავისთავად არ არის პოზიტივის მაჩვენებელი. ის შეიძლება იყოს ძალიან მწვავე, ძალიან რთული, დაძაბული...

— ხომ არ მიდის კულუარებში საუბრები რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე?

— არა, ასეთი საუბრები ვერ იქნება, ვერანაირად.

— ბატონო ზურაბ, პირადად თქვენ ხომ არ ხართ ჩართული რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის მზადების შიდა სამზარეულოში?

— არა, არა. ჩვენში უყვართ ხოლმე რაღაც შეთქმულების თეორიების არსებობა, მაგრამ ამდაგვარი არაფერი ხდება, დასამალი რა არის?

— რომ არ ხდება, მოგწონთ?

— ჩემს მოწონებაზე საუბარი არ არის. უბრალოდ, ეს არის რეალობა. მე იმას ვფიქრობ, რომ აჩქარება საჭირო არ არის. როცა ასეთი შეხვედრა დაიგეგმება, ყველაფერს დიდი მნიშვნელობა ენიჭება: როდის, სად და როგორ. დროს და ადგილსაც კი ძალიან დიდი დატვირთვა აქვს...

— გმადლობთ!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ კაკალ გულში

წარცლოჯანი თქარეები

● **იუსტიციის სამინისტრო „რუსთავი“ 2-ს რეკლამის განთავსების საბაბით უსდის ფულს. იმ ფულით „რუსთავი-2“ მიშას ტელეჩართვების თანსებს ფარავს!** Who is who?

● **ისე ძალიან მაგრად თქვა წურწუმიამ, ჯერ ბატონი შევარდნაძე იყოო, მერე ზვიადიო, მერე ისევ ბატონი შევარდნაძეო, მერე სააკაშვილიო, მერე ოდნავ შეყოვნდა, ვერ გაიხსენა მარგველაშვილი უნდა ეთქვა თუ ღარიბაშვილი და ივანიშვილი მოვიდაო. ჩვენო კი ისევ ადგილზე ვართო („ბატონი“ მარტო შევარდნაძეზე ეთქვა). ეგაა უბედურება, რომ თქვენ ხართ! დიდი კაბზონობაა საქართველოში!**

● **იმიტომაც მიდის შესანიშნავად და მთლად უკეთესად წავა ქვეყნის საქმე, თუკი კოლექტიური ინგა გრიგოლიას (შალვა რამიშვილი, დუტა სხირტლაძე, ნანიკო ხაზარაძე, ეკა ხოფერია) შეტევით შეშინებული და დაბნეული მთავრობა, მომავალშიც მათი მუქარანარევი მითითებებით იმოქმედებს.**

საერთოდაც, ვინ მიანიჭა ამ ხალხს ქვეყნის სინდისის და მსაჯულის უფლებამოსილება?!

● **უამრავი არამკითხე გამოჩნდა, ვინც უკრაინაში დაღუპული ჯარისკაცით და მისი ოჯახის უბედურებით სპეკულირებს. სირცხვილია, დაცადეთ ოჯახს ადამიანური გლოვა!**

● **ბევრნი (ბაჩუკი ქარდავა, დავით ზურაბიშვილი, პაატა დავითაია, ზურაბ აბაშიძე, დავით ბერძენიშვილი, ელისო ჩაფიძე, ხათუნა ლაგაზიძე, მეტიჩარა არასამთავრობოები...) ერთ ნავში,** не считая главной собаки.

● **ცემა გმართებს გამვლელისა, რაგინდ კარგად იყოს ზრდილი. ცუდი პოლიციელი.**

● **საშინელი განცხადება გააკეთა თავდაცვის სამინისტრომ, მაგრამ, ყველაზე მეტად აი „ახავხავებულ-აღშფოთებულ“ საზოგადოებაზე ვცოფდები. ის ხალხი ისევს ტანზე, 9 წელი ყველაფერზე თავს რომ აქნევდა და როცა ვეხვეწებოდით ხმა ამოიღეთ ხალხოო, ასეთ პასუხს რომ გაძლევდნენ „იცით ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევიით.. ახლა ერევით თქვე უნამუსოებო პოლიტიკაში?.. ახლა გახდით დემოკრატიის მცველები?... სად ეყარნეთ 2008 წელს ჩვენი ბიჭები რო მიატოვეს დახოცილები ბრძოლის ველზე, სააად?... ენები ჩაიგდეთ და თქვენი წუწკუნი არ გავიგონ. თავდაცვის სამინისტროს როგორმე ის ხალხი გავაკრიტიკებთ, ვისაც ამის მორალური უფლება გვაქვს. თქვენ არ გაქვთ ხმის ამოღების უფლება, არაააა...**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ზაზა ფირალიშვილი:

არ უნდა მოვიხიბლოთ ბორიტ ხულიგნის მოწყალე ღიმილით

2014 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებსა და 2015 წლის პერსპექტივებზე გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი

— ბატონო ზაზა, რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოზე გაკეთებულ განცხადებაში 2008 წლის ომის დაწყებაში კვლავ პრეზიდენტი სააკაშვილი დაადანაშაულა. იმავდროულად აღნიშნა, რომ 2008 წლის შედეგები რთული დასაძლევი იქნება, მაგრამ, თუ მხარეებს შორის დიალოგი იქნა, რუსეთი შუამდგომლობისთვისაც მზად არისო, ანუ სოხუმთან და ცხინვალთან კრემლის შუამავლობა შემოგვთავაზა. მან ასევე გამოთქვა მზადყოფნა, მოსკოვში შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს. თქვენ როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ პუტინის მიერ საქართველოზე გაკეთებულ განცხადებებს?

— არა მგონია, ისეთი გამოუცდელები ვიყოთ, რომ განსხვავება არ ვიცოდეთ დიპლომატიურ რიტორიკასა და რეალურ პოლიტიკას შორის, მით უმეტეს, როდესაც რუსეთზეა საუბარი. ჩვენ რომ დასავლეთ ევროპაში ვცხოვრობდეთ და ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გამოცდილება არ გვქონდეს, კიდევ შეიძლებოდა შევმცდარიყავით. განა, ერთხელ და ორჯერ შემოუთავაზებიათ რუსებს ჩვენთვის აფხაზებთან და ოსებთან უშუალო დიალოგი და ურთიერთობათა მოგვარება? ვინ უშლიდა ამ დიალოგს ხელს?

ამგვარ წინადადებას დამაჯერებლობის რაიმე ხარისხი რომ ჰქონდეს, ყველანი უნდა ვხედავდეთ, რომ რაღაც მკვეთრად შეიცვალა რუსულ პოლიტიკაში. „დერჟავას“ თავისი მორალი და ქცევის წესი აქვს. იგი ზვავივითაა, რომელიც ექსპანსიის გზაზე შთანთქავს ყველაფერს, ვიდრე რაღაც გადაულახავ წინააღმდეგობას არ წააწყდება. მას მხოლოდ ამ რეჟიმში ძალუძს არსებობა, ხოლო სანამ ეს ასეა, მსგავს განცხადებებს გულუბრყვილო ნდობით არ უნდა მოვეკიდოთ.

დღევანდელი ხელისუფლების თეზისმა იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა დაიწყო - მნიშვნელობა არა აქვს, მართალია თუ არა ეს - ისედაც შეასუსტა ჩვენი პოზიციები საერთაშორისო მოლაპარაკებებში. ასე მართლა შეიძლება აღმოვჩნდეთ მოძალადის მოწყალე ღიმილის იმედის ამარა.

— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროების შემთხვევაში მოსკოვი საქართველოზე კონტროლის დასამყარებლად შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებს ან ეკონომიკურ ბერკეტებს, ანდა ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციისა და მართვადი ქაოსის ინსპირირების მეთოდს მიმართავს. საქართველოზე პუტინის უკანასკნელმა განცხადებებმა რამდენად მოხსნა ეს საფრთხეები დღის წესრიგიდან?

— თუ დასავლეთის სანქციებმა ვერ შეაჩერეს რუსეთის ექსპანსიონისტური ინერცია და ველიკოდერჟავნიკულმა პატრიოტიზმმა თავი კვლავ გამარჯვებულად იგრძნო, საფრთხე მართლა სერიოზული იქნება. პუტინი დღეს თავადვეა ამ ინერციის ტყვეობაში. დათმობებით, უბრალოდ, ხელს შევუწყობთ, რომ იგი ჩვენზეც გავრცელდეს. მოლაპარაკებები უნდა შედგეს, მაგრამ არა იმ ლოგიკით, ერთ-ერთ ისტორიულ ამბავს რომ მოგვაგონებს. როდესაც ელბადან დაბრუნებული ნაპოლეონი პარიზს მიუახლოვდა, ლუდოვიკო მეთვრამეტეს აზრად მოსვლია, თავად შეგებებოდა მას. ჩემი ჭაღარას დანახვაზე შერცხვება და უკან გაბრუნდებაო. რუსული დაპირებების მიმართ დამოკიდებულება ზოგჯერ ასეთ გულუბრყვილო ხასიათს ატარებს. კულტურის მუშაკთა მეშვეობით გულის მოლბობის სტრატეგიამ რომ ვერაფერი მოგვიტანა, ვხედავთ. ამგვარ განცხადებებს უნდა მოვუსმინოთ, მოლაპარაკებებზეც უარი არ უნდა ვთქვათ, მაგრამ ბოროტი ხულიგნის მოწყალე ღიმილით მოხიბლული მსხვერპლივით არ უნდა მოვიქცეთ. იმასაც ყველანი ვხედავთ, თუ როგორ გააქტიურდნენ საქართველოში, როგორც პუტინი უწოდებს, რუსული „საინფორმაციო ჯარები.“ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ „რუსული იდეის“ რეაბლიტაცია მოხდეს. თუმცა კი, გავიმეორებ, აშკარაა, რომ ამით ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას არ მოევლება. ამდენად, პუტინისტური იდეოლოგიის გაძლიერება იმის ნიშანი თუ არის, რომ ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციის შემდეგ რუსეთი დანარჩენი 80%-ის მორჩილ წარმონაქმნად ქცევას ცდილობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სოციალურ ქსელებში შეხვდები კამათს თემაზე, არის თუ არა რუსული პოლიტიკა მოძალადე და აგრესიული.

— მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიისა და რუსეთის რეგულარული ძალების დონბასის ოლქში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო ურთიერთობები დასავლეთსა და რუსეთს შორის მკვეთრად დაიძაბა. „ცივი ომი“ პრაქტიკულად ეკონომიკური სანქციებით უკვე მიდის. პრეზიდენტმა პუტინმა ლამის მთელ მსოფლიოს ომი გამოუცხადა და სახეზეა სხვადასხვა ქვეყნებს შორის გადაჯგუფების პროცესი. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით როგორი შეიძლება იყოს 2015 წელი?

— ვფიქრობ, 2015 წელი საბოლოო ფაქტად აქცევს „ცივ ომს“ და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები დიდწილად ამის შესატყვისი სცენარებით წარიმართება. პუტინმა უკვე მოახერხა, მსოფლიო პოლიტიკის უარყოფით სიმბოლოდ ქცეულიყო. დღეს იგი დათმობებზეც რომ წავიდეს, ძნელი წარმოსადგენია, ადრინდელი მდგომარეობა აღიდგინოს. მან ეს იცის. მან ისიც იცის, რომ უკან დახევით შეიძლება ყველაფერი დაკარგოს, მათ შორის, ის ბიზნესიმპერიაც, რომელსაც წლების განმავლობაში ქმნიდა. ამით უკვე საშიშია ყველასათვის და სწორედ ამიტომაც არ ადგას დასავლეთი მკვეთრი და სწრაფი ღონისძიებების გზას. სანქციები თანდათან იმატებს და შეეცდებიან, ვითარება ისეთ კონდიციამდე მიიყვანონ, რომ თავად რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში გაჩნდეს პუტინის შეცვლის აუცილებლობის იდეა. დასავლეთი რომ კარგად ფლობს „ცივი ომის“ ტექნიკას და რომ მას საამისო რესურსებიც აქვს, ვფიქრობ, უკვე დავრწმუნდით.

— ორ წელზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გზით შეცვალა „ნაცმოძრაობა“. შეიძლება ითქვას, რომ წელს, არა მარტო განვლილი წლის, არამედ კოალიციის ხელისუფლებაში 2-წლიანი საქმიანობის შეჯამებაც შეიძლება. თქვენ როგორ შეაფასებდით ქვეყნისა და ხელისუფლებისთვის 2014 წელს და, საერთოდ, 2013-2014 წლებში განვითარებულ პროცესებს?

— 2003 წლის მოვლენათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი ქვეყნის მოდერნიზაციისა და საზოგადოებრივი ძალების გამოღვიძების აუცილებლობა იყო. ქვეყნის ცხოვრება მკვდარი წერტილიდან უნდა დაძრულიყო და სააკაშვილი სწორედ ამ ლოზუნგით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. შედეგი რაც იყო, ყველამ ვიცით. მოდერნიზაციის პროცესი რომ მტკივნეული იქნებოდა, ამაში, პირადად მე, ეჭვი არასოდეს მეპარებოდა. მაგრამ, როდესაც იგი სამართლიანობის იდეასთან აღმოჩნდა კონფლიქტში, როდესაც ბიზნესის ტერორი ყოველდღიურობად იქცა და ნულოვანი ტოლერანტობის შედეგად პატიმართა ხვედრითი წილით ევროპაში პირველ ადგილზე აღმოვჩნდით, ვინმე მაინც უნდა დაფიქრებულიყო, ხომ არ ხდებოდა ამით თავად მოდერნიზაციის იდეის დისკრედიტაცია.

პირადად მე, „ოცნების“ მთავარ ამოცანად მოდერნიზაციის იდეის რეაბილიტაცია წარმომედგინა. წინა ხელისუფლების წყალობით ჩიხში შესულ პოზიტიურ პროცესებს ახალი ენერგია უნდა მისცემოდა. აღარაფერს ვიტყვი ნაციონალების მიერ მოდერნიზაციის ჩვენი კულტურის ძირეულ პარადიგმებთან დაპირისპირებაზე. ცხადია, არც ქურდულ მორალს ვგულისხმობ და არც ბევრ სხვა რამეს, საბჭოეთმა მემკვიდრეობად რომ დაგვიტოვა. ვგულისხმობ იმ კონფლიქტს, რომლის სიმბოლოდაც, ვფიქრობ, ბაგრატის რესტავრირებული ტაძარი გამოდგება. ვგულისხმობ ინფანტილურ შეტევას ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენი სულიერებისთვის სიმბოლურ ფენომენებს წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა; ბიზნესის ტერორს აღარ აქვს სისტემური ხასიათი; მასმედიის თავისუფლების ხარისხიც ამაღლდა. მაგრამ „ოცნებამ“ ვერ შეძლო ახალი საზოგადოებრივი ენერგიის მობილიზება. იგი ვერ იქცა სახელმწიფოებრივი იდეების გენერატორად. ცხადია, მხედველობაში არა მაქვს უმწიფარი სახელმწიფოებრივი იდეების ის კასკადი და ის აგრესიული პროპაგანდა, კარგა ხანს რომ ვუცქერდით.

კოალიციის მოღვაწეობას მხოლოდ ოპონენტები არ აფასებენ ასე. უკმაყოფილებას გამოხატავენ ის ადამიანებიც, ვისთვისაც „ნაცმოძრაობა“ კატეგორიულად არის მიუღებელი. სახელმწიფოებრივ იდეათა დეფიციტზე უკვე ვილაპარაკე. დავამატებდი პოლიტიკური მენეჯმენტის გაიგივებას ბიზნესმენეჯმენტთან, შესაბამისად, პასიური შემსრულებლების სიმრავლეს და თანაც არა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

საინფორმაციო ინიციატივის უქონლობის კომპენსირება ვერ მოხდება სოციალური ქსელების პროპაგანდისტებისა თუ „მაესტროსთან“ დაკავშირებული საეჭვო ისტორიების მეშვეობით. განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის გაიგივება „ნაციონალებთან“ და მათი აქტივობის დათრგუნვა ვერ იქნება საინფორმაციო სტრატეგია. სამწუხარო ის არის, რომ „ოცნება“ დღემდე „ნაციონალების“ ოპონირებაში ხედავს თავის უმთავრეს ფუნქციას. არადა, ეს რესურსი ამოწურვადია და პოზიტიური იდეებისა და ქმედებების, რაც მთავარია, ქმედითი ენერგიის გარეშე სიტუაცია იოლად შეიძლება სტაგნაციას დაემსგავსოს.

ჩიხი, რომელშიც 2008 წელს აღმოვჩნდით, თითქოს დაიძლია. მაგრამ ეს დაძლევა მხოლოდ მოჩვენებითი იქნება, თუ რეალური გზები არ გაიხსნა ჩვენს წინაშე. მოკლედ თუ ვიტყვი, უმწიფარი რეფორმისტული იდეების კასკადი სტრატეგიისა და ენერგიის დეფიციტმა ჩაანაცვლა. ამან კი ახალი ჩიხი შეიძლება შვას. პირადად მე, „ოცნებისაგან“ ველოდი, ასე ვთქვათ, „მოდერნიზაციას ადამიანური სახით.“

— რას მიიჩნევდით საშინაო პოლიტიკაში 2014 წლის ყველაზე პოზიტიურ და ნეგატიურ მოვლენად?

— 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ხოლო 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ამით ჩვენმა სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ ახალ ფაზაში გადაინაცვლა. ეს არის, ალბათ, უახლოესი ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. იგი განსაზღვრავს არა მხოლოდ ჩვენს ცივილიზაციურ ბედს, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ რეალიებსაც. ყველაზე ნეგატიური მოვლენა, ჩემი აზრით, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის მიერ დაშვებული საკადრო შეცდომები და ხელისუფლების განშტოებათა შორის კინკლაობაა.

ნამდვილად არ მინდა, რაიმე კატეგორიულად განვაცხადო საყდრისის შესახებ. ეს სპეციალისტების სფეროა, მათ უნდა მივანდოთ კომპეტენტური დასკვნა, მაგრამ არსებულ სიტუაციაში არც კი გათვალო, თუ რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა ამ ლამის პარტიზანულ აფეთქებას და როგორი ბზარი გაჩნდებოდა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. თითქოს საგანგებოდ ხდება დაპირისპირება ჩვენი საზოგადოების იმ წრეებთან, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეუძლიათ.

— მინისტრობიდან ალასანიას განთავისუფლებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ კოალიციის დატოვების შემდეგ, მმართველი კოალიცია კინაღამ დაიშალა. „რესპუბლიკელები“ კარგა ხანია, კოალიციას „თვისობრივ ცვლილებებს სთავაზობენ“, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, მიიღებს თუ არა კოალიცია „რესპუბლიკელების“ თამაშის წესებს და იქნებიან თუ არა ისინი „ქართულ ოცბებაში“? თქვენი აზრით, 2015 წელს, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები მმართველ კოალიციაში?

— „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელთა ბოლო რამდენიმე განცხადება ეჭვს მიჩენს, რომ თავს კომფორტულად ვეღარ გრძნობენ კოალიციაში. არადა, ვფიქრობ, მათ ყველაზე რადიკალურ მოძულესაც ესმის, თუ რა როლს თამაშობს დავით უსუფაშვილი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანია, ვინც პოლიტიკური კატეგორიებით აზროვნებს. ამ ვითარებაში, „რესპუბლიკელების“ დაკარგვა კოალიციისათვის უკვე ძალზე სერიოზული დარტყმა იქნება. „ოცნებაში“ ისედაც დეფიციტია ისეთი ადამიანებისა, ვინც პოლიტიკურ აზრს პატრიოტული ან რელიგიური რიტორიკით არ ანაცვლებს.

რამდენიმე ნიშანი საბაბს იძლევა, ეჭვი გაგვიჩნდეს, რომ ოცნებაში ის ძალები ცდილობენ პოზიციის გაძლიერებას, რომელთაც რელატივისტური დამოკიდებულება აქვთ რუსული პოლიტიკის მიმართ და რომლებიც გარკვეულ სიტუაციაში გაუგებარ დათმობებზეც შეიძლება წავიდნენ. ღმერთმა არ ქნას და „მაესტროში“ მიმდინარე პროცესები მიმანიშნებელი შეიძლება აღმოჩნდეს. რას ნიშნავს არხის „პროქართული პოლიტიკა“? ყველასათვის ნათელია, რა შინაარსს დებენ ხოლმე ამ გამოთქმაში პუტინისტები.

— როგორ შეაფასებდით ხელისუფლებაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს და, სავარაუდოდ, რას შეიძლება იგი ნიშნავდეს? და კიდევ, გახშირდა საუბარი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების თაობაზე. გია ხუხაშვილის აზრით, ივანიშვილი, შესაძლოა, პოლიტიკაში იმ შემთხვევაში დაბრუნდეს, თუ მთავრობამ რესურსი ამოწურა. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ალბათობა?

— თავიდან „ოცნებამ“ აქცენტი, თითქოს საქმიან ადამიანებზე გააკეთა. სამწუხაროდ, ამ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უცხო აღმოჩნდა სახელმწიფოებრივი იდეალიზმი. მოკლედ რომ ვთქვა, ასკეტიზმით არც წინა და არც ახლანდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი არ გამოირჩევა.

ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას რამდენიმე სერიოზული ნაკლი აქვს: შევეხები მხოლოდ ერთს: ზედმეტი აქცენტირება მორჩილ აღმასრულებლებზე. არადა, სწორედ მორჩილი შემსრულებლების სული აღმოჩნდება ხოლმე უძირო წყვდიადი. თანამედროვე პოლიტიკური მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ისაა, რომ ყველა სფერო ამა თუ იმ ხარისხით აღიარებულ, სტრატეგიული აზროვნების უნარის მქონე ლიდერს უნდა ჩაბარდეს.

ამის საპირისპიროდ, ყველა გადაწყვეტილების კონცენტრირება ერთ ხელში იწვევს გადაწყვეტილების პროცესის გაჭიანურებას და, საბოლოოდ, სახელმწიფოებრივი მექანიზმების პარალიზებას. ამა თუ იმ სფეროს ხელმძღვანელი ადამიანებში იმედს უნდა აჩენდეს. სწორედ ამგვარი კადრების დეფიციტია დღევანდელ ხელისუფლებაში. არადა, რიგითი ადამიანები სწორედ ასეთებს ელიან. მაგალითისათვის: ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობმა **დავით სერგეენკომ** უცებ მოიპოვა ნდობა და პატივისცემა. მორჩილი შემსრულებლები კი იოლად მიეცნენ გასტრონომიულ ჰედონიზმს და პრემიები თუ სახელფასო დანამატები აქციეს თავის მთავარ საზრუნავად. ძნელია, ასეთი ადამიანები ნდობით სარგებლობდნენ. ადრე ვთქვი და გავიმეორებ: შესაცვლელია იმდენად არა კონკრეტული კადრები, არამედ თავად საკადრო პოლიტიკა და პოლიტიკური მენეჯმენტისადმი დამოკიდებულება. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ამ კატეგორიის მოხელეთა მიერ გატარებული წარმატებული ღონისძიებაც კი ადეკვატურად აღარ იქნება აღქმული საზოგადოების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ესაა სწორედ ის გარემოება, რომელიც „ოცნების“ ლიდერებს აიძულებს, რომ სასწრაფოდ ჩაატარონ საკადრო წმენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნდობის დაკარგვამ შეუქცევადი პროცესის სახე შეიძლება მიიღოს.

ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას რაც შეეხება, ნამდვილად არ ვიცი, საკადრო ცვლილებების გარდა, ექნება თუ არა მას რაიმე მკვეთრი და ეფექტიანი ცვლილებების გეგმა. ამის გარეშე კი საქმე მისი ავტორიტეტის ზედმეტ ექსპლუატაციას მივიღებთ, რასაც კარგი არაფერი მოაქვს.

ესაუბრა
კობა გენდელიანი

◎ სათქმელი

ინგაიზმი, „ტროიკა“ და გულისამრევი „აღშფოთება“

„აღშფოთებულია“ ყველა – ქალი და კაცი, ნაცი და ქოცი, ედპ და „ჩვენ თვითონ“, ინგა და გიორგი, ეკა და შალვა...

და მხოლოდ აღშფოთება?

ელისოს, თურმე, რცხვენია, რომ თავდაცვის სამინისტროში მისი თანაგუნდელები არიან (საინტერესოა, ვისი თანაგუნდელები უნდა იყვნენ?!);

მაიას ხელისუფლების კრახი ელანდება (თუ ესიზმრება?!);

მის სიძეს - პრეზიდენტობა (თანაც, ძველი უფლებებით);

ეს რანაირი გაბოროტება სცოდნია სავარძლის დაკარგვას - ერთი თვის წინათ რომ ამბობდი, იმის სრულიად საწინააღმდეგოს გათქმევინებს, თანაც ისე, რომ სინდისი ოდნავადაც არ შეგაწუხებს.

სინდისიო?! - ეს რა სიტყვა წამომცდა! ჩვენი პოლიტიკოსები უთუოდ ლექსიკონში დაუწყებენ ძებნას.

არა უშავს, ერთხელ ლექსიკონშიც ჩაიხედონ.

მიაგნებენ?

მართალია, ქართული წარმომავლობა არა აქვს, მაგრამ უცხო სიტყვათა ლექსიკონში მაინც არ უნდა ეძებონ...

ნაცები უკვე სიზმრებსაც ვეღარ ხედავენ...

„მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ - ეს გრიგოლ ორბელიანისა ჰგონიათ.

„ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ - ანასი.

არადა, როგორ უყვართ გალაკტიონი?!

„ამ ბნელი ღამით ვიღაც კვნესის საქართველოში“ - მათ კვნესა საპატიმროებიდანაც არ ესმოდათ.

სამაგიეროდ, ახლა არიან „აღშფოთებულნი“ - ეს რა განცხადება გაავრცელა თავდაცვის სამინისტრომო.

მაშინ, რა თქმა უნდა, არ აღშფოთებულან, მათმა ძვირფასმა პრეზიდენტმა აგვისტოს ომის შემდეგ რომ განაცხადა, ისეთი რა მოხდა, რამდენიმე ქვაღორღიანი უბანი დავკარგეთო(?!).

წესით, რამდენჯერ უნდა აღშფოთებულიყვნენ!

თუმცა, ნაცებზე რა უნდა ვთქვათ, როცა მათზე უფრო ყალბად აღშფოთებული ინგაა. ისეთი დაკითხვა მოუწყო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, რომ ნებისმიერ პროკურორს შეშურდებოდა.

არა, ვერ დავიჯერებ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მართლა სანთლით ეძებდეს კვალიფიციურ კადრებს. ასე რომ იყოს, გრიგოლიაზე უკეთეს გენპროკურორს სად იპოვნიდა? მერე რა, რომ იურიდიული განათლება არა აქვს, თქვენ გგონიათ, ჟურნალისტური აქვს?! იმიტომაც ვერ არის ქვეყნის მთავარი ჟურნალისტი?! ჟურნალისტური განათლება არც ხოფერიას აქვს, არც ხაზარაძეს, არც სხირტლაძეს, არც რამიშვილს (საერთოდ აქვს კი?), მაგრამ ხომ ხედავთ, ეკრანიდან არ ჩამოდიან. ნახეთ, რამდენი ძალუძთ, როგორ დაასამარეს თავისთავად კარგი იდეა და „იმედის კვირა“, თითქოს მიზანმიმართულად,უიმედობის კვირად აქციეს.

ახლა იქით გავიხედოთ - ნაცების უკანასკნელი ბასტიონისკენ - გაბუნია, ჟორჟოლიანი, ასათიანი, კიკალიშვილი...

მართლაც ტრაგიკულია ჟურნალისტად ყოფნა იმ ქვეყანაში, სადაც ამათ ჟურნალისტები ჰქვიათ.

არაჩვეულებრივი ტერმინი მიუსადაგა ბატონმა ვახტანგ დავითაიამ ქართულ სატელევიზიო სივრცეში ბოლო დროს დამკვიდრებულ აუტანელ აგრესიასა და უკულტურობას - ინგაიზმი!

პირდაპირ შემშურდა!

იმდენად შემშურდა, რომ ერთი ჩემეული ტერმინის განსაჯაროება გადავწყვიტე - „არასამთავრობო ტროიკა“, ავად სახსენებელი ოცდაჩვიდმეტის ანალოგიით. მაშინაც ხომ სამეული წყვეტდა ყველაფერს, დღესაც გვყავს ასეთი სამეული -გიგაური, კოჟორიძე, ლომჯარია (მათ შესახებ ამ დღეებში ჩვეული სიტყვაკაზმულობით წერდა ბატონი გურამ გოგიაშვილი).

საყდრისი ვის არ ტკივა, მაგრამ შეუძლებელია, ერთმა გარემოებამ არ დაგაეჭვოს: როდის იყო, საიას ეროვნული მემკვიდრეობის პრობლემა აწუხებდა?!

სად იყვნენ ეს არასამთავრობოები მაშინ, როცა საკაშვილი სიონის გვერდით „შანგრილას“ აშენებდა, ანდა კიდევ უარესი, ბაგრატის ტაძარს გვიკარგავდა?! ხომ ფაქტია, რომ ბაგრატი აღარ გვაქვს?!

ახლა არიან აღშფოთებულნი?!

ისე, ქვეყანას რა ვუყოთ, თორემ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე ახია, დამნაშავე ნაცები და გრანტებს დახარბებული არასამთავრობოები ასე რომ აშანტაჟებენ.. ახია, თუნდაც იმიტომ, რომ „კვალიფიციურ კადრებს“ (უსანთლოდ!) ისევ ამათთან ეძებენ. კაცს, რომელიც ორი წელი „ქართული ოცნების“ ლანძღვით ნერვებს მაგლეჯდა, ამას წინათ ისეთი თანამდებობა მიართვეს, სიზმარშიც რომ ვერ იოცნებებდა...

არა, კი არ მშურს, უბრალოდ, ოცნება მეცოდება, ანუ ის ადამიანები, „ოცნების“ იმედით რომ ოცნებობდნენ.

ტელეეკრანზე კი მუდმივად „აღშფოთებულნი“ ჩანან – ვითომ პოლიტიკოსები, ვითომ ექსპერტები, ვითომ ჟურნალისტები, ნამდვილად არასამთავრობოები...

გულისამრევია მათი აღშფოთება...

იოსეგ ჟუმგურიძე

◎ ალიანჩალიანი

დავით ოქიტაშვილი: რომ მცოდნოდა, თამარ გვერდწითელი პუტინს და რუსეთს აღმერთებდა, მის ვარსკვლავს არ გავხსნიდი

– განაცხადა საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დავით ოქიტაშვილმა.

მისი თქმით, თამარ გვერდწითელისთვის მას შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

„მე მისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, შეურაცხყოფა მან მიაყენა ქართველ ერს და იმ აფხაზ მებრძოლ, გარდაცვლილ გმირებს, როდესაც 2006 წელს დუეტში მან სოსო პავლიაშვილთან ერთად იმღერა, – „რუსეთო ჩემო სამშობლო, ჩემო მთებო და მდელო“, - განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

მისივე თქმით, თამარ გვერდწითელის ამ სიმღერის შესახებ მიმდინარე წლის 12 დეკემბერს გახდა ცნობილი.

„ჩემთვისაც შავი ლაქაა მასთან ურთიერთობა, რომ მცოდნოდა, 2006 წელს მას ჰქონდა ეს სიმღერა ნამღერი, რომელიც ახლა გამომჟღავნდა, რადგან სოსო პავლიაშვილმა ამ წლის 12 დეკემბერს შეასრულა. მაშინ თამარ გვერდწითელთან ერთადაც იმღერა, მე ნამდვილად მისი სახელობის ვარსკვლავს არ გავხნიდი. როდესაც ჩემთვის პირველად ეს ამბავი გახდა ცნობილი, ჩემთან იყვნენ მოსული შაოსანი დედები, იმ გარდაცვლილი ბიჭების დედები, რომლის გვამებზეც მათ იარეს. მინდა ვკითხო ქალბატონ თამარს, 2006 წელს აფხაზეთი ჩვენი იყო? მე არ მინდოდა მასთან კონფლიქტში შესვლა. მე მზად ვარ, იმ ჟურნალისტთან ერთად, რომელმაც ეს სტატია მოამზადა, სასამართლოში წარვსდგე“, – განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

მისივე თქმით, თამარ გვერდწითელმა უნდა განმარტოს, ნამდვილად იმღერა თუ არა 2006 წელს სოსო პავლიაშვილთან ერთად რუსეთისთვის მიძღვნილი სიმღერა.

* * *

მომღერალმა თამარ გვერდწითელმა განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ დავით ოქიტაშვილს ღირსების შელახვისათვის სასამართლოში უჩივლებს.

„არ ვაპირებ თავი ვიმართლო იმის გამო, რომ ვმოღვაწეობ რუსეთში და ჩემს რეპერტუარში არის ხსენებული სიმღერა რუსეთზე - დუეტი სოსო პავლიაშვილთან ერთად, რომელიც ჩაწერილია 2005 წელს და არა ახლა, როგორც ამას ბატონი ოქიტაშვილი, როგორც ჩანს, მიზანმიმართულად ავრცელებს. იუთუბზე ატვირთული კლიპის შესახებ არაფერი ვიცი. უახლოეს დღეებში ჩამოვდივარ თბილისში და აუცილებლად ვუჩივლებ ოქიტაშვილს ჩემი ღირსების შელახვისათვის“,– ნათქვამია გვერდწითელის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„შევახსენებ მასაც და სხვებსაც, თუკი ვინმე მასავით ფიქრობს, რომ მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არ ყოფილა არც ერთი კონცერტი არც რუსეთში და არც მსოფლიოს ნებისმიერ სცენაზე, სადაც მე არ შემისრულებია ის სიმღერები, რომლებსაც სწორედ ჩემს ქვეყანას, ჩვენს გმირებს და მათ ხსოვნას ვუძღვნი, მოყოლებული 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, დღემდე და როდესაც ოქიტაშვილი აცხადებს, რომ თურმე პავლიაშვილთან დუეტით „დაღუპული ბიჭების საფლავებს გადავუარე“, შევახსენებ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ მე რუსეთის სცენაზეც „ჰერიო, ბიჭებოს“, „მრავალჟამიერს“ და „საქართველოს“ ვმღერი და არაფრის მეშინია, იმიტომ რომ პირნათელი ვარ ჩემი ქვეყნის, ჩემი მაყურებლის და ჩემი ერის წინაშე.

რატომღაც 2011-2013 წლებში, როცა არაერთი პროექტი გავაკეთეთ ერთად, ჩემს „მოღალატეობას“ არ შეუშლია ხელი მისთვის ჩემთან ერთად გაეზიარებინა წარმატება თბილისში, ბათუმში, ბაქოში. 2008 წლის ომს არც იმაში შეუშლია მისთვის ხელი, რუსი მომღერლები ჩამოეყვანა თბილისში და ხალხთა შორის მეგობრობაზე ელაპარაკა მაღალფარდოვნად. ჩემს კონცერტებს საქართველოში რაც შეეხება, ნამდვილად არაა მისი გადასაწყვეტი, ჩემს ბიოგრაფიაში კი შავ ლაქად დარჩება მასთან ურთიერთობა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ შოკირებული ვარ მისი განცხადებებით და აუცილებლად მოვთხოვ პასუხს შეურაცხყოფისთვის“, – აღნიშნულია მომღერლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ ღმერთმა აცხოვნოს!

ასწლიანიც ისეთად მინდა წარმოვიდგინო, როგორიც მახსოვს

ორიოდ სიტყვა ჩემი სკოლის დირექტორზე

ნეტა როგორი იქნებოდა 100 წლის გრიგოლ ონიანი?

გალეული, გაცვეთილი, გათელილი?

თუ კვლავაც შეინარჩუნებდა სვანი კაცის იმ სილაღესა და პეწს, ბოლომდე რომ ამკობდა სახიერსა და მხრებგაშლილს?

კვლავ ისეთად მინდა წარმოვიდგინო, როგორიც ჭარმაგობისას მახსოვს ჩემი დირექტორია.

მხარდამხარ განვვლეთ ის უმშვენიერესი და უძვირფასესი წლები – მე მოსწავლემ და მან – ჩემი სკოლის დირექტორმა.

შემდეგაც ყოველთვის, ათწლეულების მანძილზე, ვრჩებოდით მოსწავლედ და მასწავლებლად. თვალმახვილად მაკვირდებოდა შორიდან. შეხვედრისას წვრილად გამომკითხავდა ამბავს, სავალდებულოდ, გულსგარეთ კი არა – ცხოველი ინტერესით, მოუდუნებელი ყურადღებით.

დიდხანს მეგონა, რომ მხოლოდ ჩემს მიმართ იყო ასეთი ამაგიანი.

მერე და მერე გავაცნობიერე, რომ ყველა თავის ნამოწაფარს ედგა კვალში, გვერდიგვერდ მიჰყვებოდა, რომ ფეხის გადაბრუნებამდე წაეკრა ხელი.

ამიტომ ვამბობთ დღემდე ძველი საბურთალოელები: მე-60-სკოლელები, 161-ესკოლელები ღირსეული სიამაყით, რომ ჩვენ „ონიანისსკოლელები“ ვართ, თუმცა უკვე 35 წელიწადია, ის აღარ არის.

ნამდვილი პედაგოგის, სკოლის დირექტორის ჭეშმარიტი ხატება იყო. მადლობა მას ამისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

დღეს საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს გრიგოლ ონიანს 100 წელი შეუსრულდებოდა!...

ალეკო ასლანიშვილი

ამერიკა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმს ახალ სანქციებს უწესებს — აშშ-ის მოქალაქეებს ყირიმში ინვესტიციების განხორციელება და ყირიმიდან აშშ-ში ნებისიერი პროდუქციის შეტანა ეკრძალებათ. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა კანადამაც. მათ შორის, შეიზღუდა ტექნოლოგიების ექსპორტი, რომელიც რუსეთში ნავთობის მოპოვებისთვის გამოიყენება.

ახალი სანქციების გარეშეც კი რუსეთის ეკონომიკა უკვე უმძიმეს მდგომარეობაშია — ჯერ კიდევ შარშან არსებობდა პროგნოზები, რომ რეგიონში სიტუაცია შესაძლებელი იყო იმდენად შეცვლილიყო, რომ საქართველოს შანსი ექნებოდა, რაციონალური საგარეო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობა თავისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

როდესაც რუსეთი საკუთარ პრობლემებშია ჩაძირული, გვაქვს თუ არა თუნდაც, თეორიული შანსი, მოვიპოვოთ შედარებით ანგარიშგასაწევი ქვეყნის სტატუსი, რომელიც შემდგომ, უკვე, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტას თუ არა, მოსალოდნელი ანექსიის თავიდან აცილებას მაინც შეძლებს? — ამ თემაზე გვესაუბრება ექსპერტი **კახა გოგოლაშვილი.**

უწინარესად — თავდაცვისუნარიანობა, დანარჩენი — მერე!

საკუთარი თავის დაცვას თავადვე თუ შევძლებთ, სხვებიც დაგვეხმარებიან

— სწორედ იმიტომ, — ამბობს იგი, — რომ რუსეთი ასეთ მდგომარეობაშია, შესაძლოა, ყველაზე უფრო სარისკო მომენტი დგება. შეიძლება, ნებისმიერი ნაბიჯი გადადგას პუტინმა ქვეყნის გარეთ იმისთვის, რომ რაღაცნაირად ქვეყანა არ დაეშალოს და მისი კონსოლიდაცია მოახდინოს. არ არის გამორიცხული, გარდა უკრაინისა, კიდევ გარე მტრების ძიება დაიწყოს. შესაძლოა, მისთვის მომგებიანი იყოს სწრაფი გამარჯვება რომელიმე ქვეყანაზე, რომელიმე „მტერზე“.

ამიტომ, ამ ვითარებაში საქართველოს მხრიდან რუსეთის გაღიზიანება სარისკოა. მეორე მხრივ, საქართველო არ უნდა ჩამორჩეს საერთაშორისო დინებას. საერთაშორისო განწყობებს და აზრს არ უნდა განუდგეს, სინქრონულად უნდა იმოქმედოს ევროპასა და ამერიკასთან ერთად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსთხოვენ, დაუწესოს სანქციები რუსეთს და ა.შ. მაგრამ მყარი პოზიცია უნდა გამოხატოს, რას უჭერს ქვეყანა მხარს და რას — არა.

არა მგონია, შესაძლებელი იყოს, რომ საქართველომ სიტუაცია გამოიყენოს რუსეთისთვის რაიმეს გამოსატყუებლად; რომ რუსეთი ჯერ კარგახანს არ დასუსტდება ისე, რომ საქართველოსთან რაიმე სახვეწარი, ან გასაყოფი ჰქონდეს. რუსეთმა აიღო ჩვენი ქვეყნიდან რაც უნდოდა და ჩვენი უახლოესი ამოცანაა, უფრო მეტი არ წაიღოს ჩვენგან.

— აფხაზეთთან გაფორმებულ და სამხრეთ ოსეთთან მოსალოდნელ ხელშეკრულებებზეა საუბარი?

— ეს ხელშეკრულებები ჯერ კიდევ დასაწყისია და მისი განვითარება კიდევ უფრო უარესი იქნება. აფხაზეთთან დადებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს გარკვეული საფუძვლის შექმნას იმისათვის, რომ შემდეგი ხელშეკრულებებით რუსეთმა კიდევ უფრო შემოიმტკიცოს აფხაზეთი და ასიმილაციის და თავისი მოსახლეობის იქ ჩასახლების შესაძლებლობა ჰქონდეს. ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე აფხაზებისთვისაც და ჩვენთვისაც.

— სამხრთი ოსეთშიც იგივე სცენარია მოსალოდნელი?

— სამხრეთი ოსეთში ეს კიდევ უფრო მარტივად გაკეთდება, რადგან იქ პრაქტიკულად, მოსახლეობა არ არის — 15-20 ათასი კაცი ცხოვრობს სულ და პლუს, რუსული სამხედრო ბაზებია. იქ ჩასახლებასა და ასიმილირებასაც არაფერი უნდა, მაგრამ პრინციპში, ეს არც სჭირდებათ.

რეფერენდუმი რომ ჩაატარონ ახლავე, სამხრეთი ოსეთი მხარს დაუჭერს რუსეთთან შეერთებას. ამ მომენტში რუსეთი, რა თქმა უნდა, არ გარისკავს და რეფერენდუმის ჩატარებას არ დაიწყებს, მაგრამ ეს ნამდვილად აქვს დაგეგმილი და დარწმუნებული ვარ, ამ გეგმას აღასრულებს, როგორც კი გამონახავს საბაბს. ეს საბაბი შეიძლება იყოს კონფლიქტი საქართველოსთან, ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავება დ ა.შ.

შესაძლოა, შიდა პრობლემებიდან გამომდინარე — როდესაც სხვას ვერაფერს ვერ აკეთებს პუტინი, რაღაც ტერიტორიებს იპყრობს და ამით ამართლებს თავის ყოფნას ხელისუფლების სათავეში. ახლა სათქმელი აქვს, რომ ხომ ნახეთ, ყირიმი შემოვიერთე, აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილი შემოვიმტკიცე და ეს კიდევ ყველაფერი არ არის, ახლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შემოვიმტკიცებ. შეუძლია, გააფუჭოს ურთიერთობა ყაზახეთთან და ყაზახეთის ნაწილი ააჯანყოს და შემოიმტკიცოს. იმაზეც საუბრობენ, რომ ბალტიისპირეთშიც ანალოგიური პროცესების ხელშეწყობა შედის მის გეგმებში — საუბარია ესტონეთსა და ლატვიაზე. ასეთი პროექტები აქვთ უახლოესი წლებისთვის, რადგან ეკონომიკურ სიტუაციას უახლოეს პერიოდში ვერ გამოასწორებენ და ვერ უშველიან.

— განაცხადა კიდეც პუტინმა, რომ ორი წელი მაინც დასჭირდება ეკონომიკის წამოსაწვად. თუმცა, საინტერესოა, როდესაც რუსეთს ასეთი სერიოზული, ეკონომიკური პრობლემა აქვს გადასაჭრელი, ამ დროს ამერიკა უარს ამბობს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისთვის ნატოს წევრობის გარეშე სტრატეგიული მოკავშირის სტატუსის მინიჭებაზე... ამ ქვეყნებისთვის მხარდაჭერის დაფიქსირება ამერიკისთვის წამგებიანი იქნებოდა? რას ნიშნავს ეს თავშკავება?

— როგორც ჩანს, ორი მიზეზია. თუ გამოაცხადებენ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას აშშ-ის მთავარ მოკავშირედ, ნატოს გარეშე, ეს ნიშნავს, რომ ამერიკა ვალდებულებას იღებს ამ ქვეყნების უსაფრთხოებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ომი უნდა გაუჩაღოს იმას, ვინ ამ ქვეყანას შეუტევს, მაგრამ ამერიკა უზარმაზარი სახელმწიფოა და როდესაც ასეთ ვალდებულებას იღებს, ელემენტარულად, ქვეყნის პრესტიჟის და ღირსების საკითხია, რომ ამ ქვეყანას ხელი არავინ ახლოს.

რუსეთს სწორედ ეს შეუძლია, რომ ამერიკის პრესტიჟის დასაგდებად, აიღოს და შეუტიოს საქართველოს ან მოლდოვას და წაართვას თუნდაც დნესტრისპირეთი — რეფერენდუმი ჩაატაროს, შეიყვანოს ჯარი და თქვას, რომ ეს რუსეთის ნაწილია. რა უნდა ქნას ამერიკამ ამ შემთხვევაში? ან ომი უნდა დაუწყოს რუსეთს, ან უნდა აღიაროს, რომ სტატუსი კი აქვს ჩვენი მოკავშირის, მაგრამ ვერაფერს ვერ შველის. ასეთ სარისკო ვითარებაში ამ სტატუსის მინიჭება საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის პოლიტიკური რისკის შემცველია, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ისე დიდი შესაძლებლობები და სურვილი აქვს აშშ-ს, რომ ძალიან ხისტად ჩაერიოს არსებულ სიტუაციაში.

არა მგონია, შესაძლებელი იყოს, რომ საქართველომ სიტუაცია გამოიყენოს რუსეთისთვის რაიმეს გამოსატყუებლად; რომ რუსეთი ჯერ კარგახანს არ დასუსტდება ისე, რომ საქართველოსთან რაიმე სახვეწარი, ან გასაყოფი ჰქონდეს. რუსეთმა აიღო ჩვენი ქვეყნიდან რაც უნდოდა და ჩვენი უახლოესი ამოცანაა, უფრო მეტი არ წაიღოს ჩვენგან.

სამწუხაროდ, ეს კიდევ უფრო უხსნის რუსეთს ხელ-ფეხს, ძალიან მყიფე და არასტაბილური სიტუაციაა რეგიონში, რადგან არ არის არც ერთი დიდი აქტორი, რომელიც მტკიცედ ეტყოდა რუსეთს, ეს არის წითელი ხაზი და როგორც კი გადახვალ, ძალიან ცუდად მოგექცევით.

მაქსიმუმი, ეს არის სანქციები, რომლებიც ნელ-ნელა მოქმედებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ძალიანაც არ აშინებს რუსეთს და აგრძელებს თავის აგრესიას უკრაინაში. მათ შორის, საქართველოს მიმართაც — ასეთ არამარტივ სიტუაციაში ვიმყოფებით.

— რაც შეეხება ევროპას, ის მაინც თუ არის მზად საქართველოს ევროპულ ოჯახში მისაღებად? თუ ასოცირების ხელშეკრულების მიუხედავად, რუსეთის ფაქტორის გამო, ისიც მკაცრ გამოცდებს მოგვიწყობს, იმისათვის, რომ დასავლეთისკენ მიმავალი გზა გაგვირთულდეს?

— ევროპა ყოველთვის იყო საქართველოს მხარდამჭერი, ისე, როგორც ამერიკა, მაგრამ სწორედ ის არის საქმე, რომ თვითონ ევროპის სამხედრო უსაფრთხოებას ძირითადად ამერიკა უზრუნველყოფს. ნატოს შეიარაღების 70% აშშ-ის შეიარაღება და მისი ძალებია, რომლებიც აკავებენ რუსეთსა და მისნაირ აგრესორებს. აშშ ერთადერთი გარანტორია, რომელსაც შეუძლია სამხედრო ძალით დაიცვას — ეს ომში ჩართვას არ ნიშნავს, მაგრამ მისი სამხედრო პოტენციალი იძლევა რუსეთის შეკავების საშუალებას.

სწორედ, როდესაც ამერიკა ასუსტებს თავის ჩართულობას რეგიონში და თავის მიზნებსაც აჩვენებს, რომ მას არ აქვს დაგეგმილი, ჩაერთოს რუსეთთან ომში არც ერთ ვითარებაში და ამიტომაც არ ანიჭებს ამ ქვეყნებს ასეთ სტატუსს, რომ არ ჰქონდეს ამისი მორალური ვალდებულება, სამხედრო პასუხის გაცემის (ჯარების გაგზავნა არ იგულისხმება მაინც და მაინც, შესაძლებელია სამხედრო ტექნიკით დახმარება და ა.შ.). ეს არის მნიშვნელოვანი, თორემ ევროპას რომ უნდოდეს კიდეც, ისეთ დახმარებას მაინც ვერ გაგიწევს, როგორსაც აშშ — მას არა აქვს შესაძლებლობები და საკმაოდ მოუქნელიც არის — ერთიანი ევროპა ნატოს გარეშე, ეს არ არის სამხედრო ძალა, ეს არის რბილი, ეკონომიკური ძალა. ამ თვალსაზრისით, ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენთვის ევროპამ, ბევრს აკეთებს და გარკვეული გარანტია არის კიდეც იმისა, რომ ჩვენი უსაფრთხოება დაცულია. ყოველ შემთხვევაში, დიდი წვლილი მიუძღვით, ევროპასაც და აშშ-საც, რომ დღეს საერთოდ, რუსეთის ნაწილი არ ვართ. სამწუხაროდ, თუ სიტუაცია ძალიან გამწვავდა რუსეთთან, ისე, მაგალითად, როგორც იყო 2008 წელს, დიდი რისკია იმისა, რომ ჩვენ ასე მარტივად ვერ დაგვიცვან.

— საქართველოსთვის რა პოზიცია იქნებოდა ასეთ შემთხვევაში მომგებიანი, იმის გათვალისწინებით, რა სიტუაციაც არის არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში?

— ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება ძალიან სერიოზულად უნდა ამზადებდეს თავის ჯარს და შეიარაღებას აძლიერებდეს. უწინარესი ამოცანაა თავდაცვისუნარიანობა. რატომღაც, ბოლო წლების განმავლობაში, საკმაოდ ხშირად ისმის და არა მარტო ქართველების მხრიდან — ბევრი უცხოელი ექსპერტიც იზიარებს ამ მოსაზრებას, — რად გვინდა ეს მილიტარიზაცია, ეს შეიარაღება, რუსეთს თუ მოუნდება, მაინც დაიპყრობს საქართველოს და ამიტომ, თავი დაანებეთ და იფიქრეთ ეკონომიკურ განვითარებაზე, მიმზიდველობაზე და ა.შ.

ეს პოზიცია ჩემი აზრით, მცდარია. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეაკავოს მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებისაგან ისეთი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, საქართველოსთან მიმართებაში, ეს არის კარგად შეიარაღებული საქართველო, რომელიც იცავს თავის უღელტეხილებს, სანაპიროს და სხვადასხვა მისადგომებს ისე, რომ მტერმა ადვილად ვერ აიღოს ეს ქვეყანა და ძვირი დაუჯდეს მისი დაპყრობა.

რასაკვირველია, თუ რუსეთმა წამოიწყო დამპყრობლური ომი, ის საქართველოს დაიპყრობს, როგორც მე-19 საუკუნეში გააკეთა ეს, მაგრამ, როცა იცის, რომ გაუჭირდება და ამას მარტივად ვერ გააკეთებს, იმ ფონზე, როდესაც რუბლი ასე ეცემა და ათასი ეკონომიკური პრობლემა აქვს, პლუს უკრაინაში პრობლემები და სანქციები, არ უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ საქართველო ძალიან ადვილად ასაღები ქვეყანაა, უცებ შევაგორებ ტანკებს, გავხსნი კორიდორს სომხეთთან და გავაერთიანებ საერთოდ, გადავუკეტავ ევროპას აღმოსავლეთში გზას და მივაღწევ ჩემს უამრავ გეგმას.

როდესაც დასავლეთი დაინახავს, რომ საქართველო სერიოზულად ემზადება და სერიოზულად აძლიერებს თავის თავდაცვისუნარიანობას, იგი ჩვენ ხელს შეგვიწყობს. ნატოს ბოლო სამიტზე ზუსტად ამაზე იყო საუბარი — პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობას უნდა შეუწყონ ხელი — ამ მიმართულებით ისინი ბევრს გააკეთებენ ჩვენთვის.

მაგრამ, თუ ჩვენ არაფერს გავაკეთებთ, ჯარს არ განვავითარებთ, არ ვიაქტიურებთ ანტისაჰაერო თავდაცვის ელემენტებს არ ვიყიდით, და ვიტყვით, თქვენ დაგვიცავით თქვენი ჯარითო, ამას არ გააკეთებს არც ევროპა არც ამერიკა და არც ერთი სხვა ქვეყანა. ჩვენ არ ვართ ნატოს წევრები, რომ ეს ვალდებულება ჰქონდეთ და ნატოს წევრები რომ გავხდეთ კიდეც, ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ჩვენ საკუთარი თავის დაცვის უნარი გვაქვს.

— გვაქვს შეიარაღების რეალური რესურსი გაძლიერების? სახელისუფლებო ძალები ანგარიშს ხომ არ უწევენ იმას, რომ ეს რუსეთს გააღიზიანებს?

— ისედაც გასაგებია — რა თქმა უნდა, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა იყოს სუსტი, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, უნდა მოვძებნოთ რესურსი და გავაძლიეროთ ჩვენი ჯარი. ეს აუცილებელია. იმისთვის არსებობს მთავრობა, პარლამენტი და ამდენი ხალხი, რომელიც უნდა ფიქრობდეს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, რომ მოიფიქრონ, რანაირად მოახერხონ ეს.

შეიძლება ქამრის შემოჭერაც გახდეს საჭირო, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. მარტო იმაზე არ ვლაპარაკობ, რუსეთი შეგიტევს თუ არა. საფრთხე ნებისმიერი მხრიდან შეიძლება გაჩნდეს. ჩვენ არ ვიცით, სად რა დესტაბილიზაცია მოხდება. მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის რომ ომი დაიწყოს, არ არის საფრთხე, რომ ამ ომმა საქართველოს საზღვრები გადმოლახოს და ომი გაჩაღდეს ჩვენს ტერიტორიაზეც? — თავისთავად, არსებობს, თუ არ გვეყოლება ძლიერი ჯარი, რომელიც ამას არ დაუშვებს.

ან თუნდაც ჩრდილო კავკასიაში რომ ისევ ომი გაჩაღდეს, არ უნდა გვქონდეს თავდაცვის საშუალება? — რუსეთს შეუძლია შემოაგდოს უბრალოდ, სხვადასხვა ჯგუფები. ჩრდილო კავკასიელებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ჩვენი ტერიტორია პლაცდარმად რუსეთის ოფიციალური შენაერთების წინააღმდეგ. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, თუ არ გვინდა, რომ ჩვენი ტერიტორია დაიბომბოს, ამისთვისაც გვჭირდება ჯარი.

ეს ელემენტარულია, უწინარესი, რაც სჭირდება ქვეყანას, ეს არის თავდაცვისუნარიანობა, დანარჩენი მოდის მერე, ასოციირების შეთანხმება ევროკავშირთან, თავისი ელემენტებით, მისი დანერგვა და ა.შ. ყველა რეფორმა, მართლმსაჯულება, ეკონომიკური განვითარება და ა.შ. სხვათა შორის, ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც, რაც უფრო კარგად არის გარანტირებული ქვეყნის უსაფრთხოება, მათ შორის — თავდაცვა, მით უფრო მარტივად და ადვილად შედის ამ ქვეყანაში ინვესტორი, რადგან იცის, რომ მარტივად დასაპყრობი ქვეყანა არ არის — ესეც მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი მომენტია.

ლალი ზირაქიშვილი

წიგნი, რომელიც მადლიან საწნახელს ჰგავს...

ინტერვიუ ჟურნალისტებს

რუსთაველის პროსპექტზე კომპანია მაგთიკომის კლუბის ადგილსამყოფელი ქართული საზოგადოების შემოქმედებითი ელიტისთვის კარგადაა ცნობილი. სხვადასხვა დროს იქ გამართულ ღირსშესანიშნავ საღამოებს თუ ახალ გამოცემათა წარდგენას ერის ინტელექტუალური ნაღების არაერთი წარმომადგენელი, მათ შორის მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები, პოეტები, არქიტექტორები, ჟურნალისტები, თეატრისა და კინოს, ოპერისა და ბალეტის მსახიობები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები სტუმრობდნენ. ამის უტყუარი დასტურია მათი პორტრეტების არაჩვეულებრივად მეტყველი ერთგვარი გალერეა, რომელიც სტუმრებს შესასვლელშივე ეგებება.

იმ მუდამ არაჩვეულებრივად გულთბილ გარემოში გამართულ საღამოებს, რომლებითაც სასიქადულო მამულიშვილებს მაგთიკომი ასე გულუხვად მასპინძლობს, ყოველთვის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ესწრებიან, თუმცა კი, მაინც იმ ამქრის წევრები ჭარბობენ ხოლმე, რომელსაც, ასე ვთქვათ, „იუბილარი“ ეკუთვნის. ასე იყო ამ ჯერზეც, როცა მაგთიკომის კლუბში შეკრებილთა უმრავლესობა არქიტექტორები იყვნენ – გასულ სამშაბათს, 23 დეკემბერს, აქ ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის **ვაჟა ორბელაძის** ვრცელი შემოქმედებითი გზის ამსახველი ალბომის პრეზენტაცია მოეწყო.

ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს ის დიდი ღვაწლი, რომელიც საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის წამყვან კომპანია მაგთიკომს სამამულო სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და ლიტერატურის წინაშე მიუძღვის. ბატონ ვაჟა ორბელაძის შემოქმედებითი ალბომი რიგით მეთექვსმეტეა იმ არაჩვეულებრივი წიგნების მწკრივში, რომლებიც სამამულო კულტურის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში მაგთიკომის ხელშეწყობით გამოიცა. წინა გამოცემები ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლების ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, რადიშ თორდიას, ჯიბსონ ხუნდაძის, ბიძინა ავალიშვილის, ლევან ცუცქირიძის, სხვათა შემოქმედებას მიეძღვნა.

ბატონი ვაჟა ორბელაძე მე-20 საუკუნის სამოციანელებად წოდებულ ქართველ შემოქმედთა გამორჩეული წარმომადგენელია. უზადო გემოვნებით გამორჩეული ნიჭის მქონე ხელოვნისთვის პირველი „არქიტექტურული შთაბეჭდილება“, როგორც ამას ალბომის შესავალ სტატიაში არქიტექტურის დოქტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე **თამაზ გერსამია** წერს, **„ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი მანგლისის სიონი იყო. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ნახევრადბნელ ტაძარში ანთებული სანთლები. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ შინ დაბრუნებულს მოზრდილ ქაღალდზე ეკლესია, ანთებული სანთლები და მღვდელი დაუხატავს“.**

საგულისხმოა თავად ორბელაძეების გვარის წარმომავლობა: ბატონი ვაჟას დიდი პაპა, ანდრია, დასავლეთ საქართველოში ცნობილი კაცი ყოფილა, თუმცა კი, მათი ფუძე ქვეყნის სამხრეთშია. ადრეულ შუა საუკუნეებში **„თავად ბარათაშვილის მრავალშვილიანი ოჯახის ძმები – ორბელი, ზაალი, ვახტანგი, ასლამაზი და კიდევ რამდენიმე სხვა – გაყოფილან და მოფენილან მთელ საქართველოში. აქედან წარმოქმნილა გვარები: ზაალიშვილი, ვახტანგიშვილი, ასლამაზიშვილი, ორბელიშვილი (შემდგომში ორბელიანი, ორბელაძე) და სხვები“,** – აღნიშნავს ბატონი გერსამია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბატონ ვაჟას ცნობილ მხატვრებთან და მოქანდაკეებთან მოუწია მუშაობა – კოკა იგნატოვთან. ანთიმოზ გორგაძესთან, ალიკო რატიანთან, ზურაბ წერეთელთან. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა არქიტექტორმა ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის მხატვრულ გაფორმებაზე იმუშავა, რომელმაც ზურაბ წერეთელს, ბატონ ვაჟას თქმით, **„გაფორმებითი სამუშაოები სერიოზულ ინდუსტრიად აქცია“**. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში შეძენილმა ცოდნამ და შთაბეჭდილებებმა ვაჟა ორბელაძის შემდგომ შემოქმედებაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა, რაც კარგად ჩანს მის ნამუშევრებში, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი სამხატვრო ალბომში.

ერთი პირობა ბატონ ვაჟას მეცნიერული მოღვაწეობა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მერე ჩანაფიქრის შესრულებაზე ხელი აუღია, თუმცა კი, დისერტაციის თემა „ხელოვნებათა სინთეზი თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში“ მთელ მის შემოქმედებას ერთგვარ რეფრენად გასდევს.

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

1975 წელს საპროექტო ინსტიტუტ თბილქალაქპროექტში ძველი თბილისის აღდგენა-რესტავრაციის სპეციალური არქიტექტურული სახელოსნო დაარსდა, რომლის მთავარ არქიტექტორად ბატონი ვაჟა მიიწვიეს. რამდენიმე წლის მანძილზე ამ სახელოსნოში დედაქალაქის ძველ უბნებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება თბილისში ცნობილი რიტუალების სასახლის აგება ორთაჭალაჰესის მახლობლად ბოჭორმის ქუჩაზე – 1986 წელს ვაჟა ორბელაძე და ვიქტორ ჯორბენაძე რუსთაველის სახელობის პრემიაზეც კი წარადგინეს... მერე იყო საპროექტო ორგანიზაცია კულტპროექტი და არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილთან ერთად მუშაობა რუსთაველის თეატრის რეკონსტრუქციაზე. 90-იანი წლების მიწურულს ბატონი ვაჟას და მისი უმცროსი ვაჟიშვილის ზაზას შესრულებული პროექტით თბილისში კომპანია „მაკდონალდსის“ რესტორანი აიგო. 2005-12 წლებში კი, უმეტესწილად ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად, ბატონმა ვაჟამ საქართველოში დიდ აღდგენა-რეკონსტრუქციულ სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა – თავდაპირველად სიღნაღში, შემდეგ ბათუმში, ყვარელში, მცხეთაში, მესტიასა და მერე კვლავ ძველ თბილისში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა არქიტექტურული მოღვაწეობის პარალელურად, ბატონი ვაჟა დიდი წარმატებით ფერწერასა და განსაკუთრებით წიგნის გრაფიკაში მუშაობდა, აკვარელის ტექნიკის შესწავლა კი... პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თავის კათედრის გამგის ირაკლი ციციშვილის „ხათრით“ მოუწია. მისი აკვარელების ღირსებას ალბომის მნახველი თავადვე დააფასებს ისევე, როგორც სხვა ნამუშევრების რეპროდუქციებს, რომლებიც, მაგთიკომის ამ სერიისთვის უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ასე უხვადაა მასში წარმოდგენილი.

თავად წიგნი ორი დიდი თავისგან შედგება –„არქიტექტურა, დიზაინი“ და „ ფერწერა, გრაფიკა“. პირველ მათგანში მნახველთა ყურადღებას უდავოდ მიიპყრობენ დარეჯანის სასახლე, რიტუალების სასახლე, რესტორნები „ძველი მეტეხი“, „ფაეტონი“ და „მაკდონალდსი“, საცხოვრებელი და სააგარაკე სახლების პროექტები თბილისში, მოსკოვში, ყაზანში, სხვადასხვა დანიშნულების შენობები და მოედნები სიღნაღში, ბათუმში, მცხეთაში, მესტიაში. ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებიდან უდავოდ გამორჩეულია აკვარელითა და გუაშით შესრულებული ნატურმორტები, თბილისის, რომის, ათენისა და ტალინის ხედები, „მასწავლებლის პორტრეტი“, უილიამ შექსპირის, მარკ ტვენის, გიორგი წერეთლის, ლევან სანიკიძის, ეკატერინე გაბაშვილის, ოთარ ჭილაძის, სხვა ავტორთა ნაწარმოებების ილუსტრაციები, ასევე წიგნების ყდები და ტიტულები, საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლების რუკა.

ვაჟა ორბელაძის შემოქმედებითი ალბომის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს მისი საქმისადმი სიყვარული, პროფესიონალიზმი, ერუდიცია, ენერგიულობა, შესაშური მრავალფეროვნება, ახლის გამუდმებულ ძიებაში ყოფნასთან ერთად ტრადიციების სათუთად გაფრთხილების წადილი.

უდავოდ ცალკეა აღსანიშნავი ყველა გამომსვლელის, მათ შორის თავად ბატონი ვაჟას მადლიერება კომპანია მაგთიკომის ხელმძღვანელობის მიმართ, ვის თანადგომის გარეშე არც ეს და არც მრავალი სხვა შესანიშნავი წიგნი არ შეიქმნებოდა.

– არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით, კაცობით ყველასთვის სამაგალითონი, ქებისა და მიბაძვის ღირსნი არიან. სწორედ ასეთი კაცია ვაჟა ორბელაძე, – თქვა მისასალმებელ სიტყვაში ბატონმა **გიორგი ორმოცაძემ**. – ვულოცავ მას ამ შესანიშნავი წიგნის დაბადებას, რომელიც მადლიან საწნახელს ჰგავს, სადაც მისი ნიჭის გაბრწყინების მტევნები იწურებოდა და ახლა უბადლო ზედაშე ღვინო დადგა, რომლითაც იგი ყველას ასე გულუხვად გვიმასპინძლდება!

– დარწმუნებული ვარ, რომ ამ შესანიშნავ ალბომს უამრავი ახალგაზრდა შეიყვარებს, ვაჟა ორბელაძის არქიტექტურითა და მხატვრობით მოიხიბლება, – აღნიშნა ბატონმა **თამაზ ხუციშვილმა**. – ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, ჭკუის სასწავლებელი ბევრი არაფერი სჭირს, მაგრამ წიგნის თვალნათელი მაგალითი მაინც სულ სხვა რამ არის. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეგობართან, დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დღევანდელი სიხარულის მოზიარე ვარ და ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრს, ვინც ამ საღამოს აქ არ არის, ამაზე გული დიდად დაწყდება.

წიგნის გამორჩეულობას ხაზი გაუსვა ასევე ბატონ თამაზ ხუციშვილის ვაჟიშვილმა, ვაჟა ორბელაძის ნათლულმა **გიორგი ხუციშვილმა**:

– ამ ნაცრისფერ დროში, ამ უგემოვნობის კაკაფონიაში, მაგთიკომი მართლაც რომ ქართული აწმყოსა და მომავლის საქმეს აკეთებს, რის მადლობელი ყველანი ვართ, – თქვა მან.

იგივე აზრი განაგრძო ცნობილმა არქიტექტორმა, ბატონმა **ვახტანგ დავითაიამ,** რომელმაც მაგთიკომს არაერთი საქებარი სიტყვა უთხრა:

– თავისი დევიზი – ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ – კომპანიას მუდამ სისრულეში მოყავს. ნიჭი ისეთი რამაა, მის გაბრწყინებებს რუდუნებით თავმოყრა სჭირდება, თუმცა კი, არანაკლები ნიჭია საკუთარ ძალთა და შესაძლებლობათა წარმოჩენა: დიდი ეროვნული განძი უკვალოდ დაგვეკარგებოდა, რომ არა დიდი ქველმოქმოქმედების – ზუბალაშვილების, სარაჯიშვილების, სხვათა დარი ადამიანები. ახლა მათ საშვილიშვილო საქმეს ღირსეულად განაგრძობს მაგთიკომი!

ვაჟა ორბელაძის მიმართ კი მხოლოდ ერთი სიტყვა მიმაჩნია მიზანშეწონილად – დიდოსტატი, საოცრად მრავალფეროვანი, საოცრად დახვეწილი შემოქმედი. არქიტექტურა – ესაა „მრავალენოვანი“ ხელოვნება, რომლებიც მისმა მსახურმა უნდა იცოდეს და იგი შესანიშნავად ფლობს მათ. საქართველოს სხვადასხვა მხარეში მიმოფანტული მისი არქიტექტურული ნამუშევრები კი ჭეშმარიტად მუზეუმია ღია ცის ქვეშ!

ხელოვანის ავტოგრაფი

ნინო ანანიაშვილთან ერთად

ოთარ ტურაგელიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი ცხინვალის რეგიონის ანექსირებას ცდილობს

რუსეთ-სამხრეთი ოსეთის შეთანხმების პროექტი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა რუსეთის მხრიდან ანექსიის კიდევ ერთი მცდელობის შესახებ. საკითხი შეეხება რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ შეთანხმების პროექტს სამხრეთი ოსეთის რუსეთთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ. საქართველოს საგარეოპოლიტიკური უწყების შეფასებით, დაგეგმილი დოკუმენტი არის „საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგრესიის გაგრძელება, რაც დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისიდან და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის პროცესის გაგრძელება 2008 წლის შემდეგ“. თბილისი ამტკიცებს, რომ ამ დოკუმენტით მოსკოვი მიზანდასახულად ცდილობს მოახდინოს ცხინვალის რეგიონის ანექსირება.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს აღნიშნულ პროექტს და მას განიხილავს როგორც მცდელობას, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის ანექსია, და საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას. იგი თავიდანვე არ არის სამართლიანი და მას არ შეუძლია მიგვიყვანოს რაიმე სამართლებრივ შედეგამდე“,— ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც 22 დეკემბერს საღამოს გავრცელდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოწოდებით მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, მოახდინოს ზეგავლენა მოსკოვზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული რუსეთის მხრიდან „სამხედრო აგრესიის, ოკუპაციისა და საბოლოო ანექსიის“ მცდელობა.

შეთანხმების პროექტი

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, შეთანხმება ცხინვალთან გულისხმობს საქართველოს ამ რეგიონის „სრულ ინტეგრაციას“ რუსეთთან, გაცილებით უფრო მეტი ზომით, ვიდრე მოსკოვის მიერ სოხუმთან ნოემბერში გაფორმებული შეთანხმება თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც აფხაზეთის პარლამენტმა 22 დეკემბერს მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს სამხრეთი ოსეთის მთელი რიგი ძირითადი სტრუქტურების უშუალო გაერთიანებას რუსეთის სტრუქტურებთან. კერძოდ, შეთანხმების პროექტში ნათქვამია, რომ მხარეები შეთანხმდნენ განახორციელონ შეთანხმებული საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ამ დროს სამხრეთი ოსეთი „გადასცემს რუსეთის ფედერაციას უფლებამოსილებას თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფისთვის, მათ შორის, სახელმწიფო საზღვრის დაცვას“. ამავე დროს სამხრეთი ოსეთის შეიარაღებული ძალები და ორგანოები ხდებიან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ფედერალური სამსახურის ორგანოების ნაწილი.

„აგრესია (შეიარაღებული თავდასხმა) შეთანხმების ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან განიხილება, როგორც აგრესია (შეიარაღებული თავდასხმა) ასევე შეთანხმების მეორე მხარის წინააღმდეგ“, — ნათქვამია შეთანხმების პროექტში.

წინასწარი ტექსტის თანახმად, უქმდება საბაჟო გამტარი პუნქტები რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს შორის და ხორციელდება ტვირთისა და პიროვნებათა თავისუფალი გადაადგილება რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის ეგრეთ წოდებულ საზღვარზე. ამ დროს ცხინვალი „გადასცემს რუსეთის ფედერაციას უფლებამოსილებას საბაჟო მოწესრიგებისა და საბაჟო საქმის დარგში“, ხოლო უღიარებელი რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები ხდება რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოების ნაწილი.

ერთდროულად, შინაგან საქმეთა ორგანოები, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო აქტების იძულებითი შესრულების ორგანოები, სამხრეთი ოსეთის სისხლის სამართლის — აღმასრულებელი სისტემის ორგანოები ხდებიან რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის — აღმასრულებელი სისტემის ორგანოების ნაწილი. ასევე იგეგმება სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების პროცედურების გამარტივება.

ცხინვალში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელს ლეონიდ თიბილოვს ასევე აცნობა საფინანსო დახმარების გაზრდის შესახებ, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რასაც ამ მომენტში რუსეთის ეკონომიკა განიცდის.

„ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს დამატებითი ვალდებულებანი, მათ შორის, მატერიალურიც, რისთვისაც რუსეთი მზად არის... რასაკვირველია, რუსეთში ამჟამად არ არის საუკეთესო დრო, რასაც ხელს უწყობს სანქციების რეჟიმი და ფასების მერყეობა ნახშირწყლებზე, მაგრამ ჩვენ გარწმუნებთ თქვენ, რომ მზად ვართ შემდგომი თანამშრომლობისათვის და დაფინანსების გაზრდა აუცილებლად მოხდება... ჩვენ შეიძლება უარი ვთქვათ რაიმე ჩვენს საშინაო ამოცანებზე, მაგრამ არ გავაცურებთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს“, — განაცხადა სურკოვმა ცხინვალში და აღნიშნა, რომ დოკუმენტი, როგორც ჩანს, შეთანხმებული იქნება უკვე მომავალი წლის იანვრის ბოლოს.

აღსანიშნავია, რომ, როგორც უღიარებელი სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტი, ისე სამხრეთი ოსეთის მთელი რიგი პოლიტიკოსები არაერთგზის აცხადებდნენ სურვილის შესახებ, რომ სამხრეთი ოსეთი შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას, მიუთითებდნენ რეფერენდუმების შედეგებზე, რომლებიც მოეწყო ცხინვალის რეგიონში 1992 და 2006 წლებში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ რეფერენდუმებში მონაწილეობა არ მიუღიათ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლები კონფლიქტის შედეგად, აგრეთვე ახალგორის მოსახლეობას — ტერიტორიისა, რომელზეც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ნაბიჯი ანექსიისკენ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ იყო საუბარი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე 22 დეკემბერს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ლიტვისა და ავსტრალიის წარმომადგენლები გამოვიდნენ განცხადებებით საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის მხარდასაჭერად მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. კერძოდ, ამ ქვეყნებმა დაგმეს რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით და განაცხადეს მოსკოვის მოქმედებათა შეუთავსებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ყურადღება დაეთმო მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებულ შეთანხმებას, აგრეთვე ცხინვალთან დაგეგმილ შეთანხმებას, რომლებიც, ზემოაღნიშნული სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეფასების თანახმად, ხელს უშლის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მცდელობას.

„ჩვენ შეშფოთებული ვართ საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო. თვალყური უნდა ვადევნოთ რუსეთისა და აფხაზეთის რეგიონს შორის შეთანხმების შედეგებს“, — განაცხადა 22 დეკემბერს გაეროსთან არსებული მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ მიშელ საისონმა თავის გამოთვლაში უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიესალმა მხარდაჭერას გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების მხრიდან.

„იმ რთულ მდგომარეობაში, როდესაც ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი, ასობით ათასი მოქალაქე გახდა ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული, საქართველო აწარმოებს კონსტრუქციულ, მშვიდობიან და რაციონალურ პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციამ მაინც გადადგა ნაბიჯი სუვერენული სახელმწიფო ტერიტორიის ანექსიისკენ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონის უშიშროების გარემოს“, — ნათქვამია მარგველაშვილის 23 დეკემბრის განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტის თანახმად, საერთაშორისო გაერთიანების აქტიურ ჩართვას შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შეწყვეტაში.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთმა აღიარა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა და თავის სამხედრო ბაზებზე მოცემულ ტერიტორიებზე გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებენ საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ობამას რეიტინგმა უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მაქსიმალურ დონეს მიაღწია

გამოკითხვამ, რომელიც გაკეთდა სი-ენ-ენ-ის დაკვეთით, აჩვენა, რომ 2014 წლის ბოლო კვარტალში ამერიკელების უფრო მეტმა ნაწილმა ბარაკ ობამას მოღვაწეობა შეაფასა დადებითად — პრეზიდენტის მხარდაჭერის დონემ 48 პროცენტს მიაღწია, ეს საუკეთესო მაჩვენებელია 2013 წლის მაისიდან. ამავე დროს ზოგიერთ დემოგრაფიულ ჯგუფში მხარდაჭერა უკანასკნელი თვის განმავლობაში ათი საპროცენტო პუნქტით გაიზარდა.

* * *

პოლონელებმა უფრო ნაკლები ოდენობის ძაშაყის ჭამა დაიწყეს, ვინაიდან უფრო იშვიათად სვამენ არაყს

პოლონეთში ყოველ მოსახლეზე ეცემა მაგარი ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ოდენობა, რომელთა ტრადიციული დასაყოლებელია ქაშაყი, სამაგიეროდ, იზრდება ღვინისა და არყის გაყიდვები, მათთან კი, ეს თევზი დიდად არ შეესაბამება დასაყოლებელს. ამავე დროს, ქაშაყი ჯერჯერობით კვლავ რჩება პოლონელების ერთ-ერთ საყვარელ კერძად საშობაო მაგიდაზე.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტორნადომ მსხვერპლი 4 კაცი იმსხვერპლა

სტიქიამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა შენობებსა და ბიზნესს. მავთულების გაწყვეტის გამო 7 ათასზე მეტი კაცი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ყველაზე მეტად ტორნადოსგან დაზარალდნენ მერიონისა და ჯონსის ოლქებში, სადაც შემოიღეს საგანგებო სიტუაციის რეჟიმი. გრიგალმა ბევრ სახლს ახადა სახურავები, შენობათა ნანგრევებმა გზები გადაკეტა.

* * *

ნატოს ხელმძღვანელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს უკრაინამ, ვიდრე განაცხადს შეიტანს ალიანსში შესვლაზე

ქვეყანას „სჭირდება მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვის, კორუფციასთან ბრძოლისა და უფრო ეფექტიანი სახელმწიფო აპარატის შექმნის ორგანიზაციისთვის“, აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა. ამას დიდი დრო დასჭირდება, და ალიანსი არ გამოიჩენს ინიციატივას თავის მხრიდან.

...იმდენი ღირს, რამხელა ტერფიც აქვს!

ზღვიდან წყლის ამოხაპვა თან წასაღებად იტალიაში... აკრძალულია. ეს ძველისძველი კანონია, მაგრამ დღემდე მოქმედებს. ცოტა ხნის წინათ ერთი ახალგაზრდა ლიგურიიდან მილანში ბრუნდებოდა და მანქანის საბარგულით სახლის აკვარიუმისთვის რამდენიმე კანისტრა ზღვის წყალი მიჰქონდა. გზად იგი კარაბინერებმა გააჩერეს, საბარგულში ზღვის წყალი უპოვეს და უზარმაზარი ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

იტალიაში მოქმედი კანონი სუფრის მარილის წარმოებაზე სახელმწიფოს მონოპოლიას იცავს. მართლაც, თუკი ზღვის წყალს ქვაბით ვადუღებთ სრულ აორთქლებამდე, ფსკერზე ჩინებული სუფრის მარილი დარჩება. ეს, ცხადია, ეკონომიკური თვალსაზრისით აშკარად არამომგებიანი ოპერაციაა, ვინაიდან ათეულობით ლიტრი წყლის საათობით დუღილზე გაცილებით უფრო ადვილია მაღაზიაში მისი ყიდვა, სადაც მარილი მუდამ გამოულევლად არის. მაგრამ, ბოლო მსოფლიო ომის დროს, როცა ზღვისპირა ქალაქებში ხალხს მარილი უთავდებოდა, მას სწორედ ამ გზით მოიპოვებდნენ.

მაგრამ, საქმე ის არის, რომ ნატრიუმის ქლორიდი, ანუ ჩვეულებრივი სუფრის მარილი, მარტო კულინარიული სანელებელი არ არის. მისი არსებობა ან არარსებობა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. იმას, რომ მარილი ჩვენი ორგანიზმისთვის აუცილებელია, ადამიანები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მიხვდნენ. მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია — მარილის ყოველდღიურ ულუფას მოკლებული ადამიანი მალევე ვარდება ასთენიაში, მის ხანგრძლივ დეფიციტს კი სიკვდილი მოყვება.

ანტიკურ ხანაში მარილი დღევანდელზე გაცილებით მეტად ფასობდა: აფრიკაში მარილის ფასად ყიდულობდნენ არა მარტო მონებს, არამედ ოქროსაც და სპილოს ძვალსაც: ტამბუქტუში შუა საუკუნეებში, ძლიერი ზანგის მუშა მისი ტერფის ზომის ნატეხი მარილი ღირდა. ძველი ბერძნები და რომაელები კი მარილის სქელი ღვინის მისაღებად იყენებდნენ, რომელსაც მერე მოხმარებამდე წყლით აზავებდნენ. უმარილოდ ძველი ზღვაოსნები თავიანთ არაჩვეულებრივ მოგზაურობებს ვერ განახორციელებდნენ იმიტომ, რომ მეზღვაურებს ვერც თევზით, ვერც ხორცით ვერ გამოკვებავდნენ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ხმელთაშუაზღვისპირელი ხალხები თევზით ჩრდილოეთისა და დასავლეთის ხალხებთან ვაჭრობდნენ, რომლებიც ისეთი ზღვების ნაპირებზე სახლობდნენ, რომლებშიც თევზი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაში!

სასტუმრო უკომპლექსო მოგზაურთათვის

იაპონიის ქალაქ ოსაკაში, ნაკანოშიმას პარკში, სურვილის ქონის შემთხვევაში, სტუმარს თავისუფლად შეუძლია ღამის გათევა... საზოგადოებრივ ტუალეტში, რომელიც ფეშენებელურ ერთოთახიან სასტუმრო ნომრადაა გადაკეთებული!

საზოგადოებრივ ტუალეტში სასტუმრო ნომერი პროექტის „ოსაკა კანვასის“ ნაწილია, რომელიც თანამედროვე მხატვარმა ტაძზუ ნიშინომ დაამუშავა.

ამავე დროს, საზოგადოებრივი ტუალეტი, რომელშიც „სასტუმროა“ განთავსებული, სავსებით ფუნქციონალურია და ერთი სტუმრების მიერ გამოცემული ხმები, მეორეს მდგმურებს ჩვეულებრივად ესმით.

საპირფარეშოში სასტუმროს მოწყობა — ეს საკმაოდ ორიგინალური იდეაა, რომელსაც ვირის ბოსელში დადგმული უსადენო ინტერნეტი შეედრება. გაცილებით ხშირად კი ასეთ სასტუმროებს ფსიქიატრიულ კლინიკებსა და ციხეებში ხსნიან.

რაც შეეხება უშუალოდ იაპონიას, იქ არაერთი ობიექტი ისეთ ადგილასაა განთავსებული, რაც ბევრის გაოცებას იწვევს. აბა, მოდი და ნუ გაკვირდები, როცა სოფელი... საცხოვრებელ სახლშია გაშენებული, ეკლესია კი — ცათამბჯენში!

ეს სახიფათო სუში

ბოლო წლებში ჩვენში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოები, მათ შორის ჩინური და იაპონური. ამ ქვეყნების ეროვნულ რესტორნებში სტუმრებს ყოველთვის ტრადიციულ კერძს — სუშის სთავაზობენ, რომლის ძირითადი ინგრედიენტი უმი თევზია. არადა, თურმე, უმი თევზიც და ხორციც ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს.

ჩინეთის პროვინცია გუანდუნის ერთ-ერთმა მცხოვრებმა საავადმყოფოს მიმართა და აღმოჩნდა, რომ მის ორგანიზმში თითქმის ყველა ორგანოში...უამრავი ჭია-სოლიტერია! ექიმების განცხადებით, ყველაფერი იმის ბრალია, რომ მამაკაცი სუშის დიდი ტრფიალი ყოფილა — სოლიტერის კვერცხები ორგანიზმში ბოლომდე შეუმწვარ თევზთან და ხორცთან ერთად ხვდება, დიასახლისები კი უმი ფარშის დაგემოვნებისას ავადდებიან.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ პოტენციურად სახიფათოა ნებისმიერი თერმულად დაუმუშავებელი თევზი და არა მარტო სუში. სხვათა შორის, ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ სუში სულაც არ არის ტრადიციული კერძი: ის არცთუ დიდი ხნის წინათ — 1300 წელს — იაპონელმა მზარეულმა იოჰეიმ მოიგონა.

გასათვალისწინებელია, რომ თევზში ხშირად ბინადრობს სხვადასხვა პარაზიტი. ამიტომ მისი მოუხარშავად ან შეუმწვარად ჭამის შემთხვევაში კაცი შეიძლება ადვილად დაავადდეს. კარგადაა ცნობილი, რომ იქ, სადაც დიდი ოდენობით უმ ან გაყინულ თევზს ჭამენ, ბევრნი ჰელმიტებით (ინფექციური ჭიებით) არიან დაავადებულნი. ასევე სახიფათოა არასაკმარისად დამარილებული თევზი. თუკი თევზს საკუთრივ, ოჯახში ამარილებთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი 2-3 დღეში ჭამა, მას 10-14 დღე მაინც უნდა აცადოთ, რათა ჭიები და პარაზიტები დაიხოცონ.

იდუმალი კანარის კუნძულები

უცნაური პირამიდები

ცოტა ხანში მსოფლიო საზოგადოებრიობა მე-20 საუკუნის ლეგენდარული მოგზაურის, ნორვეგიელი ტურ ჰეიერდალის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს. დიდი მეცნიერი — მოგზაური, ეთნოგრაფი, არქეოლოგი მთელი ცხოვრების მანძილზე კაცობრიობის ცივილიზაციის გამოცანების პასუხებს ეძებდა, ბევრს მიაგნო კიდეც, თუმცა, ბევრი რამ ისევ აუხსნელ საიდუმლოდ დარჩა.

ტურ ჰეიერდალის მიერ ერთ-ერთი გამოუცნობი საიდუმლოა ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კანარის არქიპელაგის კუნძულ ტენერიფეზე გუიმარის პირამიდები, რომელთა აგების მიზანი დღემდე უცნობია.

გუიმარის ექვსსაფეხურიანი პირამიდის კომპლექსი კუნძულ ტენერიფეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ გუიმარის მახლობლად მდებარეობს და 64 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ოფიციალურად მიჩნეულია, რომ ისევე, როგორც ეგვიპტეში, მექსიკასა და პერუში, ისინიც დაახლოებით 5-7 ათასი წლის წინათ ააგეს. არადა,ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს პირამიდები... ადგილობრივი გლეხების ნახელავია, რომლებიც დასამუშავებელი მიწის ნაკვეთებიდან ლოდებს იღებდნენ და ცალკე აწყობდნენ. ამ მოსაზრებას ძველი ხალხის მოწმობებიც თითქოს ამაგრებს, რომელთა თქმით, უწინ ტენერიფეზე ასეთი ნაგებობები მრავლად იყო, თუმცა, მოგვიანებით ის ქვები სახლების ასაშენებლად გამოიყენეს.

მაგრამ, საქმე ის არის, გიუმარის პირამიდები ისეთ მხარეშია, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ ტარდებოდა. მათი აგებულება და თავად განლაგებაც იმას მოწმობს, რომ ისინი ან რიტუალური წესების აგებისას, ანდა ასტრონომიული მიზნებისთვის გამოიყენებოდნენ.

ნორვეგიელი მკვლევარი ტურ ჰეიერდალი ამ ნაგებობებს 1990-იან წლებში შეისწავლიდა. შვიდწლიანი კვლევის შემდეგ მან განაცხადა, რომ გუიმარის პირამიდები უბრალოდ ლოდების გროვები არ არის. მისი არგუმენტაცია ასეთია: პირამიდის ამგები ლოდები დამუშავებულია; პირამიდები აგებულია არა მინდვრებში ამოგდებული ქვებით, არამედ ვულკანური ლავის ნატეხებით.

სწორედ ჰეიერდალმა მიაქცია ყურადღება გუიმარის პირამიდების ასტრონომიულ მიზანმიმართულებას. თუკი ზაფხულის ბუნიობის დღეს ყველაზე მაღალი პირამიდის წვერზე ახვალთ, იშვიათი ფენომენის მომსწრე გახდებით — ესაა მზის ორჯერადი ჩასვლა. თავდაპირველად მზე მთის წვერს ეფარება, შემდეგ კიდევ გამოჩნდება და ხელმეორედ ჩადის. ამის გარდა, ყველა პირამიდას დასავლეთის მხარეს აქვს კიბე და ზამთრის ბუნიობის დღეს ეს კიბეები ზუსტად მზის ამოსვლის წერტილს მიუთითებენ!

პირამიდების ასაკის დადგენა ჰეიერდალმა ვერ შეძლო, ასევე ვერ უპასუხა მან კითხვას, თუ ვინ ააგო ისინი. თუმცა, ერთი რამის დადგენა მან მაინც მოახერხა: ერთ-ერთი პირამიდის ქვეშ მდებარე გამოქვაბულში ოდესღაც კანარის კუნძულების მკვიდრნი, გუანჩები ცხოვრობდნენ. არადა, გუანჩები კანარის არქიპელაგის გაცილებით დიდი გამოცანაა, ვიდრე პირამიდები, რადგან არავინ იცის, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი და ვინ იყვნენ საერთოდ. მათ შესახებ ჩვენ შემდეგ გამოშვებაში გიამბობთ.

პატარა თაღლითობით მიღებული დიდი შემოსავალი

სეზონების მიწურულს, დიდი დღესასწაულების წინ, უამრავი მაღაზია საქონლის ფასდაკლებით ვაჭრობას იწყებს, რაც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული შობა-ახალი წლის წინა დღეებია, მაგრამ, როგორც ირკვევა, ბევრი არც მთლად ალალი სავაჭრო ობიექტი, ასე ვთქვათ, „ფსევდოშეღავათების“ მეთოდს მიმართავს, რაც სხვა არაფერია, თუ არა მომხმარებლის მოტყუება.

ხერხი უმარტივესია: რომელიმე საქონელზე წინასწარ ჯერ ფასს უმატებენ, მერე კი „ფასდაკლებას“ აცხადებენ და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ მომხმარებელს არანაირი შეღავათი არ ეძლევა, რადგან სასურველ ნივთს თავდაპირველად დაწესებულ ფასად ყიდულობს.

ახალი წლის წინა დღეებში სავაჭრო ობიექტებს უფრო მეტი შემოსავალი აქვთ ხოლმე, ვიდრე მანამდე ოთხი თვის მანძილზე ჰქონდათ! ამით განსაკუთრებით პარფიუმერიის, კოსმეტიკისა და სამკაულების გამყიდველები სცოდავენ.

ჩემპიონი „ჯადოსნები“

ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ თოვლის პაპებს, ახალი წლის დღესასწაულის ამ განუყრელ ჯადოსნებს, თავიანთი „ჩემპიონატები“ აქვთ.

მაგალითად, ალპებში სანტა-კლაუსები ერთმანეთს საკვამლე მილში გაძრომასა და ვირებით ჯირითში ეჯიბრებიან ხოლმე, რაშიც მოქმედი ჩემპიონები შვეიცარიელები არიან.

◎ ვითარება

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გაავრცელა წერილი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ. აქვე გულისტკივილით დავძენთ, ავადმოსაგონარი ნაციონალური ეპოქა ხომ არ გვიბრუნდება?!

* * *

ამონაწერი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიდან:

I საკითხი

დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად უკანონო ზეწოლის ფაქტების საწინააღმდეგო ზომების მიღება.

პირველი საკითხის გარშემო სიტყვით გამოვიდა გიორგი მაკასარაშვილი. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების ცალკეული შტოების მცდარ გზაზე მყოფი წარმომადგენლის ინფორმაციით, რომელიც სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისას გაგვაცნეს, მხარს უჭერენ ბ-ნ ვალერი გელაშვილის კანდიდატურას და გვირჩიეს, რომ დაგვეჭირა მისთვის მხარი. მათ ავუხსენით, რომ ვალერი გელაშვილს სრული უფლება აქვს დემოკრატიულ არჩევნებში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ გელაშვილის მსგავსად სხვა კანდიდატებსაც, მათ შორის ჭიდაობის სამყაროს დიდი ნაწილის მიერ წამოყენებულ კანდიდატებსაც, აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

ამ პასუხის შემდეგ ადგილი აქვს აშკარა უკანონო ზეწოლას ამ ბატონების მხრიდან, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში ითხოვენ ბ-ნ რომან რურუასგან მოხსნას თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის არჩევნებიდან. ამ მიზნით მათი მხრიდან მიღებულ იქნა სხვადასხვა ზომები, რომელთა გაჟღერებისგან ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ. ასევითვე ზეწოლას ვერ გაუძლო ბატონმა გურამ საღარაძემ, რომელმაც დადგენილ ვადებში უკვე გაიტანა თავისი განცხადება უკან პრეზიდენტობის კანდიდატობაზე. ყოველივე ეს ხდებოდა და ხდება ჩვენი სამუშაო ჯგუფის წევრების თვალწინ. საჭიროების შემთხვევაში ამას დავადასტურებთ.

სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ ბატონების მოქმედება მიუღებელია. იგი ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ნორმებს და ემსგავსება წინა ხელისუფლების დროინდელ უკანონო მეთოდებს. ამ ქმედებებით მათ უნდათ გადახაზონ „ქართული ოცნების“ საყოველთაოდ ცნობილი პოსტულატი, რომ ჩვენ უნდა ავაშენოთ საქართველოში „სამაგალითო დემოკრატია“. მათი მოთხოვნა ეწინააღმდეგება საღარაძემ. ამრიგად, სამუშაო ჯგუფმა პრეზიდენტობის კანდიდატებად დაარეგისტრირა 4 კანდიდატი: რომან რურუა, მანუჩარ კვირკველია, გიორგი მაკასარაშვილი და ვალერი გელაშვილი. ისინი ავტომატურ რეჟიმში შევლენ საარჩევნო ბიულეტენში.

„რომან რურუასგან პრეზიდენტის არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნას უნყვეტ რეჟიმში ითხოვენ“

ჩვენი მოქმედება გამომდინარეობს სამართლიანობის პრინციპიდან და არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას.

2. იმისათვის, რომ გამოირიცხოს რაიმე სახის ზეწოლა კანდიდატებზე, არჩევნები ჩატარდეს სპეციალურად შემუშავებული წესით, რომლითაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფასთან ერთად გამოირიცხება პრეზიდენტობის კანდიდატებზე შემდგომი ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის აზრი და მიზანშეწონილობა.

3. შემდგომშიც განხორციელდეს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ „ქართული ოცნების“ მთავარი მიღწევის — დემოკრატიული არჩევნების ჩატარების დაცვას და აგრეთვე, ერთ-ერთი საზოგადოებრივი სექტორის, ამ შემთხვევაში ჭიდაობის ფედერაციის, გაძლიერებას;

4. აღნიშნული გადაწყვეტილება გავრცელდეს საინფორმაციო საშუალებებით;

სამუშაო ჯგუფის წევრები: 1.მერაბ ღუდუშაური 2.გიორგი მაკასარაშვილი, 3.ვასილ ქარსელაძე, 4.დიმიტრი გელაშვილი, 5.თამაზ მაჭავარიანი, 6.ნოდარ მოდებაძე, 7.დავით გობეჯიშვილი, 8.თემურ ყაზარაშვილი, 9.ბაკურ გოგიტიძე, 10.გიორგი ლომიძე, 11.მანუჩარ კვირკველია.

რომან რურუა: არავითარი ზეწოლა არ ყოფილა

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას სამი კანდიდატი შემორჩა. ვეტერანმა ფალავანმა, მსოფლიოს 4-გზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ, მოლოდინისამებრ, კანდიდატურის მოხსნის შესახებ ფედერაციაში განცხადება გუშინ შეიტანა. გუშინვე მოჭიდავეთა საინიციატივო ჯგუფმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ცალკეული შტოების მიერ განხორციელდა ზეწოლის ფაქტები პარლამენტარ ვალერი გელაშვილის სასარგებლოდ. განცხადების 11 ხელმომწერს შორის პრეზიდენტობის კანდიდატები მანუჩარ კვირკველია და გოგი მაკასარაშვილიც არიან. კულუარებში რომან რურუას გადაწყვეტილებასაც ზეწოლით ხსნიან, რასაც თავად ვეტერანი სპორტსმენი კატეგორიულად უარყოფს

„გამორიცხულია, ვინმემ რამე მაიძულოს. არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. იყო გარკვეული რჩევები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ საბოლოო ნაბიჯი აბსოლუტურად დამოუკიდებლად მივიღე. ფედერაციის გაძღოლა უდიდესი ტვირთია და სხვა საქმიანობასთან მისი შეთავსება ძალიან გამიჭირდებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, გზა სხვებს დავუთმო“ — განაცხადა რომან რურუამ.

ყრილობა ხვალ გაიმართება და გელაშვილს, კვირკველიასა და მაკასარაშვილს შორის არჩევანს 109 დელეგატი გააკეთებს.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ანჩელოტი გვარდიოლასა და ფერგიუსონს გაუთანაბრდა

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული მერვედ გახდა და ამ მაჩვენებლით ესპანელ პეპ გვარდიოლასა და შოტლანდიელ სერ ალექს ფერგიუსონს გაუთანაბრდა.

იტალიელი მწვრთნელის გუნდმა ახლახან საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არგენტინული „სან ლორენცო“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა და ანჩელოტიმაც მორიგი, მერვე საერთაშორისო ტიტული ჩაიწერა აქტივში.

გაგაცნობთ ამ სამეულის მიერ მოპოვებულ ტიტულებს.

კარლო ანჩელოტი — 8 ტიტული

ჩემპიონთა ლიგა (2003, 2007, 2014), უეფას ევროპის სუპერთასი (2003, 2007, 2014), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (2007, 2014).

სერ ალექს ფერგიუსონი — 8 ტიტული

ჩემპიონთა ლიგა (1999, 2008), უეფას ევროპის სუპერთასი (1983, 1991), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (2008), საკონტინენტთაშორისო თასი (ყოფილი მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი) (1999), თასების მფლობელთა თასი (1983, 1991).

პეპ გვარდიოლა — 8 ტიტული

ჩემპიონთა ლიგა (2009, 2011), უეფას ევროპის სუპერთასი (2009, 2011, 2013), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (2009, 2011, 2013).

გიორგი ზოთაძე

◎ წყალბურთი

„არენამ“ ყველას აჯობა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დამთავრდა 2000-2001 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა „ტენტორიუმის თასის“ გათამაშება, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი.

A ჯგუფი. „საჩხერე“, „არენა“, „ბათუმი“, „თბილისი“.

B ჯგუფი. „ივერია,“ „ქუთაისი“, „აკადემია“, „დიღომი“.

ჯგუფურ ეტაპზე გუნდები წრიული სისტემით შეხვდნენ ერთმანეთს:

I ტური: „ივერია“-„დიღომი“ 26:2, „არენა“-„ბათუმი“ 6:5, „ქუთაისი“-„აკადემია“ 8:7, „საჩხერე“-„თბილისი“13:6.

II ტური. „არენა“-„თბილისი“ 12:2, „ქუთაისი“-„დიღომი“ 11:2, „ივერია“-„აკადემია“ 16:3, „საჩხერე“-„ბათუმი“ 11:5.

III ტური. „საჩხერე“-„არენა“ 7:14, „ივერია“-„ქუთაისი“ 8:8, „ბათუმი“-„თბილისი“ 4:3, „აკადემია“-„დიღომი“ 15:5.

ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავიდა: „არენა“-„ქუთაისი“ 8:3, „ივერია“-საჩხერე“ 12:7.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში „არენამ“ „ივერიას“ აჯობა 6:5 და „ტენტორიუმის თასი“ დაიმსახურა. მესამე ადგილზე „ქუთაისის“ მძლეველი (8:4) „საჩხერე“ გავიდა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ქალებში - არაბიძე, ვაჟებში - აზალაძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 49 წარმომადგენელი იბრძოდა რაპიდსა (სწრაფი ჭადრაკი) და ბლიცში (ელვისებური ჭადრაკი) საქართველოს ვაჟთა გრან პრის დასკვნით მე-4 ეტაპზე. შვეიცარიული სისტემით გათამაშდა 9 ტური. რაპიდში 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს შოთა აზალაძემ და საქართველოს თასის მფლობელმა გიგა ყუფარაძემ. რადგანაც დამატებითი მაჩვენებლებიც თანაბარი ჰქონდათ, გამარჯვებული ტაიბრეიკებმა გამოავლინა. გაიმარჯვა აზალაძემ და მთავარი

პრიზიც მას ერგო. მეორეზე ყუფარაძე გავიდა. 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, კონსტანტინე შანავამ და ივერი ჭიღლაძემ გაინაწილეს.

ელვისებურ ჭადრაკში ყუფარაძემ იყოჩაღა: ზედიზედ დაამარცხა ცხრავე მეტოქე — აკაკი ზარდიაშვილი, ირაკლი კელაპტრიშვილი, დავით ზარქუა, ნიკა ვოლკოვი, დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე, ბელა ხოტენაშვილი, კონსტანტინე შანავა, ირაკლი ჯანიაშვილი და აბსოლუტური შედეგით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 7,5 ქულით მეორე ადგილი თორნიკე სანიკიძეს ერგო, ხოლო 7 ქულით მესამე ადგილზე დავით ზარქუა გავიდა.

ამ შეჯიბრების შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ შეაჯამა ქალთა და ვაჟთა ოთხივე ეტაპის შედეგები და საუკეთესოები გამოავლინა. საგულისხმოა, რომ ორივე დისციპლინაში მერი არაბიძემ და შოთა აზალაძემ გაიმარჯვეს.

გივი გაგუა

სურათებზე: შოთა აზალაძე, მერი არაბიძე.

◎ კალათბურთი

მარკოიშვილის ცსკა-მ მინსკელებს აჯობა

მანუჩარ მარკოიშვილის ცსკამ ვთბ-ლიგაში მე-12 გამარჯვება იზეიმა და ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს.

მოსკოველებმა ბელარუსის ცმოკი-მინსკი მიიღეს და 93:72 გაანადგურეს, ქართველმა კალათბურთელმა კი 19 წუთში 1 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მანუჩარმა 3 ორქულიანი და სამქულიანი ააცილა, ბურთი 4-ჯერ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

არმიელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი ამერიკელმა ლეგიონერმა სონი უიმსმა დაიდო, რომელმაც 6-ვე სამქულიანი გამოიყენა და 22 წუთში 23 ქულა ჩააგდო.

ცსკას მომდევნო შეხვედრა 5 იანვარს შინ ტალინის "კალევთან" ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დაპირისპირება

სუბელიანის სუბარით ჩანაცვლებამ პრობლემები ვერ მოხსნა

ცოტა ხნის წინათ, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის ბიუჯეტის დამტკიცებას მხარი არ დაუჭირა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა, რამაც „უმრავლესობის“ უმრავლესობაში გაკვირვება და აღშფოთებაც კი გამოიწვია, ისინი ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რა იყო ამის მოტივი, მაშინ, როდესაც ორიოდე კვირის წინათ, სანამ ალასანია და მისი თავისუფალი დემოკრატები ოპოზიციაში წავიდოდნენ, ონოფრიშვილი ცალი კი არა ორივე ხელით იწონებდა მთავრობის საბიუჯეტო ხედვას და მათ წარმოდგენილ პროექტს, მაგრამ 2 კვირის შემდეგ პარლამენტარმა მოსაზრება შეიცვალა და მის მიერვე გაზიარებულ დოკუმენტზე ხელი არ მოაწერა. უმრავლესობაში თვლიან, რომ ადამიანის ცნობიერების 80 პროცენტით შეცვლა გამოწვეულია პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლით და ახალი გუნდის მოთხოვნით.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობისა და ფრაქცია „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი **მანანა კობახიძე** კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის საქციელს ყველაფერთან ერთად გამაღიზიანებლადაც მიიჩნევს. იგიც, თანაგუნდელების მსგავსად, შეცბუნებულია ონოფრიშვილის სწრაფი და მოულოდნელი სახეცვლილებით, მომხდარის შემდეგ მას ონოფრიშვილის მიმართ უამრავი ეჭვი და კითხვა უჩნდება, პარალელურად ვიცე-სპიკერი არ გამორიცხავს კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაყენებას. თუმცა, ამის შესახებ უმრავლესობასა და „ოცნების“ შიგნით საუბრები არ მიმდინარეობს.

უსუფაშვილის პირველი მოადგილისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **ვახტანგ ხმალაძეს.** მისი აზრით პრობლემა არ იქნება, თუკი რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი დაიკავებს. იურისტი, კონსტიტუციონალისტი, პარლამენტარი ხმალაძე განგვიმარტავს საქართველოს პარლამენტის ძირითად ფუნქციას — **კომიტეტები კანონშემოქმედებითი საქმიანობის გარდა, ანხორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლს, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე აკონკრეტებს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და არც სხვა ქვეყნების რეგლამენტებით არ არის განსაზღვრული, რომ კომიტეტების თავმჯდომარეებად ინიშნებოდნენ უმრავლესობის ან ოპოზიციის წარმომადგენლები, თუმცა, აგრძელებს იგი, არაერთ განვითარებულ სახელმწიფოში ზოგან კანონით, ზოგან კონსტიტუციით განსაზღვრულია კომიტეტები, სადაც თავმჯდომარეებად სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლები ინიშნებიან,** ამის გამო ხმალაძე ვერ ხედავს უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის შეშფოთების საფუძველს იმაში, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე იყოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი.

ონოფრიშვილის კრიტიკა ბიუჯეტთან დაკავშირებით განსაკუთრებით მტკივნეულად მიიღო განსახლებისა და ლტოლვილთა საქმეების მინისტრმა **სოზარ სუბარმა,** რადგანაც კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლაში უხვად იყო საუბარი მის სამინისტროში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვითი ნაწილის უკონტროლობაზე. შენიშვნებზე გაცხარებულმა მინისტრმა საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებას სიცრუის ტირაჟირება უწოდა. მან კატეგორიულად დააყენა საკითხი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენების აუცილებლობის თაობაზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციის („თავისუფალი დემოკრატების“) წევრთა და მისი კრიტიკაც ოპოზიციონერობიდან გამომდინარეობს.

ურბანისტი **ლექსო კალანდაძე** იხსენებს, რომ **ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით სერიოზული პრეტენზიები სუბარის წინამორბედ მინისტრ სუბელიანთანაც ჰქონდათ როგორც ძველი ხელისუფლების, ასევე „ოცნების“ წევრებსაც. მაგრამ რა მივიღეთ, ყველაფერი ჩაიფარცხა, დავიწყებას მიეცა. სუბელიანი „ნაცების“ კვოტით საქართველოს პარლამენტის წევრია.**

ჩვენთან მოსაუბრე სუბარის ცოტა ხნის წინათ სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობიდან მის გადადგომის ფაქტსაც იხსენებს — მიზეზი აქაც ფინანსური დარღვევებია. **რა აჟიოტაჟი შეიქმნა, რა ხდება. ბიჭი ახალგაზრდაა** (იგულისხმება სუბარი), **ცოტა ფულს იშოვის, შეივსება და მერე წავა პოლიტიკაში, ისე, რომ კაციშვილი პასუხს არ მოსთხოვს — სუბელიანის სუბარით ჩანაცვლებით პრობლემა არ მოიხსნება,** — ენაკვიმატობს გურული კალანდაძე.

ზაზა ბილიხოძე

◎ რა დაგვიჯდება საახალწლო სუფრა?

წელს ყველაზე მეტად საცივის „ინდექსი“ გაიზარდა

ახალი წლის მოახლოება საახალწლო სამზადისის დაწყებას და, შესაბამისად, საჭირო პროდუქტებისა თუ საახალწლო აქსესუარების შეძენას უკავშირდება. ყველა, ქართული ტრადიციების დამცველი თუ, უბრალოდ, დღესასწაულების მოყვარული, ცდილობს სადღესასწაულო სუფრა განსაკუთრებული ენთუზიაზმით დაგეგმოს და ახალ წელს, შეძლებისდაგვარად, ბარაქიანი სუფრით შეხვდეს. Bpn.ge დაინტერესდა, რამდენი ლარის დახარჯვას გეგმავს მომხმარებელი საახალწლო სამზადისისთვის და როგორია ბაზარზე არსებული ფასები.

Bpn.ge-მ გამოკითხვა 15 დეკემბერს დაიწყო და ბოლო მონაცემებით, გამოკითხვაში სულ 185-მა მომხმარებელმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხულთა 40, 5 % საახალწლო სამზადისისთვის 500 ლარის და მეტის დახარჯვას გეგმავს, მაშინ, როცა გამოკითხულთა 25, 4 % 300-დან 500 ლარამდე დახარჯავს. 16,8 %-ს 100-დან 300 ლარამდე თანხა აქვს საახალწლო სამზადისისთვის გამოყოფილი, 17,3% კი 0-დან 100 ლარის ოდენობის თანხას დახარჯავს.

მიუხედავად იმისა, თუ რა თანხას დახარჯავს მომხმარებელი საახალწლო სამზადისისთვის, ბაზარზე არსებული პროდუქტისა და საახალწლო აქსესუარების ფასების შესახებ ინფორმაცია ყველას აინტერესებს. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რა დაჯდება არსებული ფასებით საახალწლო სუფრა.

სადღესასწაულო განწყობის მახარობლის — ნაძვისხის ფასი ბაზრობებზე 4 ლარიდან იწყება და 450 ლარს აღწევს. ბაზრებს ყველაზე მეტად, ახალი წლის მოახლოება ნაძვის ხეების სიმრავლით ემჩნევა. გამყიდველთა თქმით, მყიდველიც აქტიურობს. რაც შეეხება პროდუქტებს, ყველაზე პოპულარული საახალწლო კერძის, საცივის მთავარი „ინგრედიენტი“, ინდაური ჯერ ბაზარზე შემოტანილი არ არის, მაგრამ გამყიდველები პროგნოზირებენ, რომ მისი ფასი 50 ლარიდან დაიწყება. 1კგ. ნიგვზის ფასი 18 ლარიდან იწყება და 25 ლარს აღწევს. როგორც გამყიდვლები აღნიშნავენ, წელს კაკლის ძალიან მწირი მოსავალი იყო და ნიგვზის ფასმაც ამიტომ მოიმატა. შესაბამისად, წელს საახალწლოდ საცივის მომზადება საკმაოდ ძვირი სიამოვნება იქნება.

არსებული ფასებით 1 კილოგრამი ქათამი ბაზრებსა და ბაზრობებზე 4,50 ლარიდან იწყება. თევზი სახეობების მიხედვით 1 კილოგრამი 2-8 ლარი ღირს. 1 კილოგრამ იმერულ ყველს მომხმარებელი 7,50-8 ლარად შეიძენს. 1 კილოგრამი ღორის ხორცი 11 ლარი ღირს, საქონლის — 12 ლარი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მომუშავე გამყიდველების თქმით, ჯერ მომხმარებლის აქტიურობა არ იგრძნობა. ეს განსაკუთრებით, მალფუჭებად პროდუქტებს ეხება. მყიდველების აქტიურობის მთავარ ტალღას 25-26 დეკემბრიდან ელიან.

რაც შეეხება საახალწლო ტკბილეულს, ხურმისა და კარალიოკის ჩირი, 1 კილოგრამი საშუალოდ 7ლარი ღირს, ერთი ცალი ჩურჩხელას ფასი კი 1,50 — 3 ლარის ფარგლებში მერყეობს. 1 კილოგრამი თაფლის ფასი, დაახლოებით, 16 ლარია.

საახალწლო სუფრის „მეფე“ — გოჭი, ინდაურის მსგავსად, ჯერ-ჯერობით ბაზარზე გასაყიდად არ გამოუტანიათ, მაგრამ გამყიდველები ვარაუდობენ, რომ წელს გოჭის ფასი 100 ლარიდან დაიწყება.

თამარ კორკოტაშვილი

რეზო ფაჩულია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი

იოსებ ლავრენტის ძე ჩიქავა

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.



შვილები ნანი, თემური, შვილიშვილები მიშა, გიორგი თოდუები, რძალი ქეთინო ჯოხთაბერიძე, მძახალი ნელი გვილავა, ძმისწულები ზოია, გოგი იუწყებიან

მიხეილ თედოს ძე თოდუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 XII, დაკრძალვა 27 XII, 14 სთ. მისამართი: ბუდაპეშტის ქ. II შესახვევი, სახლი №7.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და „გარდიგარდმო“ მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით (უკაშხალო სათავე ნაგებობა), კონტრაქტით №:A/W/NCB-2015/01**

ლოტი-1 სათავე ნაგებობა, დოუკერი და მაგისტრალი პკ 0+00-დან პკ 41+30-მდე

ლოტი-2 მაგისტრალური არხი პკ 41+30-დან პკ 95+30-მდე და კვანძი №1

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. ლოტი-1-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4 თვე**. ლოტი-2-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4 თვე**.

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 26 დეკემბრიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი — 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2015 წლის 15 იანვრის 12:00 საათისა, როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაურუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

◎ ინფორმაცია

უბედური შემთხვევა მარტყოფში

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში უბედური შემთხვევა მოხდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ანუკა შიოშვილი და დათო გუგუშვილი საკუთარი სახლის აბაზანაში, მცირეწლოვანმა შვილებმა გარდაცვლილები ნახეს.

წინასწარი ინფორმაციიით, მეუღლეები ბუნებრივი აირის წყლის გამათბობლიდან გაზის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალნენ. მეზობლების თქმით, გარდაცვლილები პირველად შვილებმა ნახეს და იქვე მცხოვრებ ბებია-ბაბუას გააგებინეს. გარდაცვლილებს ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩათ.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია მოკვლევა და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

უბედური შემთხვევა კვირას, 21 დეკემბერს მოხდა.

რომელი გიგანტები აკონტროლებენ მსოფლიო კაპიტალს?

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კორპორაციები

საერთაშორისო კორპორაციებზეა დამოკიდებული მსოფლიოს ეკონომიკური პარამეტრები. მათი მოგება კორპორაციების ხელმძღვანელებთან მიდის, თუმცა, რეგიონები, სადაც ეს კორპორაციებია განთავსებული, საკმაოდ ხელსაყრელ მდგომარეობაშია: იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. ასე რომ, სარგებელი, შეიძლება ითქვას, საერთოა.

მოდით, ვნახოთ, რომელი გიგანტები აკონტროლებენ მსოფლიო კაპიტალს:

1. ჩინეთის ინდუსტრიულ-კომერციული ბანკი – კომპანიის აქტივები: $3 124,9 მილიარდი

ჩინეთის ინდუსტრიულ-კომერციული ბანკი 1984 წლის 1 იანვარს დაფუძნდა. იგი ჩინეთის და მსოფლიოს საბაზრო კაპიტალიზაციისა და დეპოზიტების ყველაზე დიდი ბანკია. ICBC ჩინეთის საბანკო სექტორის თითქმის, მეხუთედ ნაწილს აკონტროლებს. გარდა ამისა, იგი CSR-ს ბანკების „დიდი ოთხეულის“ წევრია, ჩინეთის სამშენებლო ბანკთან, ჩინეთის ბანკთან და ჩინეთის აგრარულ ბანკთან ერთად.

2. ჩინეთის სამშენებლო ბანკი – კომპანიის აქტივები: $2 449,5 მილიარდი

ბანკი 1954 წლის 1 ოქტომბერს შეიქმნა და თავდაპირველად ჩინეთის სახალხო სამშენებლო ბანკი ეწოდებოდა. ბანკმა სახელი 1996 წლის 26 მარტს შეიცვალა. დაფუძნების შემდეგ, კომპანია სწრაფად გაიზარდა და ჩინეთის ერთ-ერთ მთავარ საფინანსო ინსტიტუტად იქცა. კომპანიის აქტივების ღირებულება თითქმის 2,5$ ტრილიონია.

3. JP MORGAN CHASE – კომპანიის აქტივები: $2 435,3 მილიარდი

იგი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც 1799 წლიდან არსებობს. დღესდღეობით კომპანია JP Morgan and Company Inc-ისა და Chase Manhattan Corporation-ის შერწყმის შედეგს წარმოადგენს. 2014 წლის მონაცემებით, მისი აქტივების ღირებულება 2,5 ტრილიონი დოლარია.

4. ჩინეთის აგრარული ბანკი – კომპანიის აქტივები: $2 405,4 მილიარდი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი, რომელიც 1912 წლიდან ფუნქციონირებს და ქვეყანაში ყველაზე ძველ ბანკად მიიჩნევა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ბანკი საერთაშორისო ოპერაციების აქტიური მონაწილე გახდა. ამ დროისთვის, ბანკის საკონტროლო აქციების პაკეტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის.

5. ჩინეთის ბანკი – კომპანიის აქტივები $2 291,8 მილიარდი

იგი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკია. ამ მომენტისთვის ბანკს ჩინეთში მეხუთე ადგილი უკავია, მისი აქტივების ღირებულება 2,3 ტრილიონ დოლარს აღწევს.

6. WELLS FARGO – კომპანიის აქტივები: $1 543 მილიარდი

საბანკო კომპანია, რომელიც აშშ-ს, კანადასა და პუერტო-რიკოს დივერსიფიცირებულ, საფინანსო და სადაზღვევო მომსახურებას სთავაზობს. საბაზრო კაპიტალიზაციით უდიდესი და აშშ-ში სიდიდით მეოთხე ბანკი, ე.წ. „დიდი ოთხეულის“ მონაწილეა. 2008 წლის მიწურულს ბანკის მიერ, 12,7 მილიარდ დოლარად ღირებული Wachovia-ს შეძენამ ბანკს საშუალება მისცა, 2009 წელს აშშ-ს ყველაზე დიდ იპოთეკურ კრედიტორად ქცეულიყო. Wells Fargo-ს 6062 განყოფილება აქვს, რომლებიც 23 მილიონ კლიენტს ემსახურება.

რას იყიდით 1 დოლარად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში?

დოლარისა და ევროს კურსი უკანასკნელი კვირების განმავლობაში, ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება. დოლარის კურსის უეცარმა ზრდამ და ლარის დაცემამ, მრავალ ჩვენს თანამოქალაქეს გაუჩინა საფიქრალი. გთავაზობთ თვალი გადავავლოთ მსოფლიოს და ვნახოთ, რისი შეძენა შეუძლიათ ადამიანებს 1 დოლარად.

გრენლანდია: 1 ლიტრი ბენზინი.
მექსიკა: 48 ბანანი.
ავსტრალია: 1 წუთი მობილურის სასაუბრო დრო.
ზიმბაბვე: 1 დოლარიან ბაზრობაზე უამრავი ნივთის შეძენა შეგიძლიათ.
კანადა: 1 ცალი ვაშლი.
ჰაიტი: ბრინჯის ოთხი კერძი.
ბელგია: საღეჭი რეზინის 1 შეკვრა.
ვენესუელა: (მანქანის) ბენზინის ავზის ნახევრამდე, ან მთლიანად გავსება.
საუდის არაბეთი: 1 მილის გავლა ტაქსით.
ჰონდურასი: ქალაქის ნებისმიერ წერტილში მიგიყვანენ.
ფინეთი: 1 დოლარად შეგიძლიათ ფასიან საპირფარეშოს ესტუმროთ.
დანია: შოკოლადი „კინდერ მახი“.
იორდანია: შოკოლადი, პეპსი და ჩიპსები.
იაპონია: 1 ცალი ონიგირი.
ინდონეზია: 1 დოლარად კარგად ისადილებთ.
ჩინეთი: ჩამოსასხმელი ლუდი.
ჩეხეთი: 3 ქილა ლუდი.

დიდი ბრიტანეთი: 1 დამარინადებული კვერცხი.
ვიეტნამი: 40 ციცრის კვერცხი.
ეგვიპტე: 6 სენდვიჩი.
პორტუგალია: 1 ჭიქა ესპრესო.
შვეიცარია: შვეიცარიული ყველის პატარა ნაჭერი.
ტაილანდი: მწვანე ტაილანდური კარრი და ბრინჯი.
კენია: 8 თავი კომბოსტო, 4 პომიდორი და 4 თავი ხახვი.
ირლანდია: ჩიპსები.
ნეპალი: 10 ცალი ადგილობრივი მანტა.
ნორვეგია: ქვეყანა, სადაც 1 დოლარად ვერაფერს შეიძენთ.

მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!



წინდები ჩვეულებრივად ნელთბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.

ცინცხალი ანეკდოტები

გაუპატიურება ორი წუთი გრძელდებოდა. შემდეგ ყველაფერი ურთიერთთანხმობით მოხდა.

* * *

2014 წლის შედეგები:
— დედა, რა იყო ეს, აა?!

* * *

— **შენ** მოკვდები სილარიბეში, მარტოხელა, მხოლოდ ტკივილითა და ტანჯვით გარემოსილი.
— მაპატიეთ, რა მითხარით?
— არაფერი, აქ მომიწერეთ ხელი და სესხი თქვენია.

* * *

ნებისმიერ სავაჭრო ცენტრში, ბავშვთა ოთახების გარდა, უნდა იყოს სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც შეიძლება ქმრის დატოვება, რათა იგი არ წუწუნებდეს.

* * *

ღმერთო, არ შეიძლება, რომ ყველაფერი პირიქით იყოს? დილით გინდოდეს ჭამა, ღამით კი ძილი!

* * *

— **მინდა**, რომ ზაზუნა მიყიდოთ!
— რას ამბობ, მას მოვლა სჭირდება, თვალ-ყურის დევნება, რეგულარული კვება, წყლის გამოცვლა, მასთან თამაში...
— ზაზუნობა მინდა!

* * *

— **დედი**, დედი, შედი სასწრაფოდ ოთახში, მე იქ დიდი კიბე წავაქციე.
— ჰოდა, მამაშენი რომ გაიგებს, კარგად მოგცხებს მაგისთვის.
— მამამ უკვე იცის. იგი ჭაღზეა ჩამოკიდებული.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24